# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (9.861)

26 იანვარი-2 თებერვალი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## მინდვრის თაგვი ტარიბანასა და შირაქში

გვ. 5

## დედოფლისწყაროს სოფლების გაზიფიცირება გრძელდება



გვ. 2

## ცენტრალური სტადიონის აღდგენა იწყება



გვ.8

# „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ განახლდა



გვ. 3

## შირაქის დასახლებას მზის პანელები კიდევ გადაეცემა

უშუქოდ დარჩენილი სოფლებისთვის ხელისუფლება ალტერნატიული წყაროს დარიგებას გეგმავს. 100-ზე მეტი ქართული სოფლის ყველა ოჯახი ამერიკული USAID-ის დახმარებით მზის პანელებს საჩუქრად მიიღებს. მათ შორისაა დედოფლისწყაროში შირაქის დასახლების 11 ოჯახი.

შირაქის დასახლებაში, რომელიც შირაქის ველზე მდებარეობს, 11 კომლი მას შემდეგ ცხოვრობს, რაც აქ მეფრინველეობის მეურნეობა ფუქციონირებდა. მათ ელექტროენერგია ამ დრომდე არ მიეწოდებათ, თუმცა, დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლებისა და USAID-ის დახმარებით მზის ენერგიის პანელები ადგილობრივებს უსასყიდლოდ 2014 წელსაც გადაეცათ.



პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა, რომ ალტერნატიული ენერგიის წყაროთი ჯამში დაახლოებით 400 ოჯახის უზრუნველყოფა მოხდება. სამინისტროს განცხადებით, უშუქოდ დარჩენილი დასახლებული პუნქტების სია შედგენილია მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სიაში ის სოფლებია, სადაც მუდმივად ან სეზონურად მაინც ცხოვრობენ. გამოქვეყნებულ სიაში ფიგურირებს დედოფლისწყაროც. დედოფლისწყაროს გარდა, მზის ენერგიის პანელები საგარეჯოსა და ახმეტის მოწყვეტილი სოფლების მცხოვრებლებსაც .გადაეცემათ.

## შობადობა – 286; გარდაცვალება –343; ქორწინება – 260; განქორწინება – 82

გასული წლის შედეგების გაანალიზებისა და დაფიქრებისთვის, პირველ რიგში, ალბათ, შობადობისა და გარდაცვალების მაჩვენებლები უნდა შევადაროთ. წინა ნომერში უკვე გაუწყეთ, რომ 183 ახალშობილი იყო, თუმცა ეს სრული მონაცემები არ არის, რადგან ყველა მათგანი ადგილზე არ მშობიარობს. სამოქალაქო რეესტრმა კი საჭირო მონაცემები ერთთვიანი დაგვიანებით მოგვაწოდა. ბოლო მონაცემების მიხედვით, 2018 წელს დედოფლისწყაროში რეგისტრირებული სულ 286 ახალშობილი დაიბადა, მათგან 183-მა მერიისგან ერთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო, ხოლო 73 ადგილობრივ სამშობიაროში მოევლინა ქვეყანას.

მართალია, გარდაცვალების შემთხვევები კვლავ სჭარბობს შობადობას, მაგრამ ისეთი მწვავე სურათი არ გვაქვს, როგორც ეს გასულ წლებში ინტენსიურად ხდებოდა. სტატისტიკურ მონაცემებში მცირე პოზიტიური დინამიკა შეინიშნება. მოკლედ რომ ვთქვათ, 2018 წელს 343 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 286 დაიბადა.

რაც შეეხება სამოქალაქო ქორწინების მაჩვენებელს: გასულ წელს მისამართზე რეგისტრაციის მიხედვით 260 ქორწინება გაფორმდა, ხოლო 82 წყვილი განქორწინდა.

2018 წლის განმავლობაში იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 6 518 გამოძახება დაფიქსირდა. ყველაზე მეტი გამოძახება მარტის თვეში აღირიცხა – 642, ყველაზე ნაკლები კი სექტემბერში – 439.

მთელი რაიონის მასშტაბით, გასულ წელს, ხანძრის 269 შემთხვევა, სამაშველო სამსახურის 68 გამოძახება დაფიქსირდა.

C M Y K

# „ივანიშვილმა სწორი ტაქტიკა აირჩია“ ...

„ქართულ ოცნებაში“ კონსულტაციების პირველი რაუნდი დასრულებულია. „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა გაფართოებული სხდომა 4 საათზე მეტხანს გაგრძელდა. რომელიმე დეპუტატის გარიცხვის საკითხი არ დამდგარა და ივანიშვილი ყველა გამომსვლელს მოთმინებითა და გულისყურით უსმენდა. როგორც დეპუტატები ამბობენ, ეკა ბესელიას სიტყვით გამოსვლის და პოზიციის გამოხატვის საშუალება რამდენჯერმე მიეცა. პარტიის ლიდერი ყველას აზრს ისმენდა და ცდილობდა, რომ გამაერთიანებლის როლი შეესრულებინა.დეპუტატების ნაწილმა სხდომაზე გამოსვლა ვერ მოასწრო და ამიტომაც გადაწყდა, რომ პარტიის შეხვედრა პარასკევსაც გამართულიყო.

ანალიტიკოსების აზრით, ივანიშვილის ამოცანა ახლა მარტივია, მისი მთავარი მიზანი გუნდში არსებული დაპირისპირების ჩაცხრობა და პარტიის სრული სახით შენარჩუნებაა. ისინი არ ელიან, რომ იგი პარტიიდან ვინმეს გარიცხვის გადაწყვეტილებას მიიღებს, ან რომელიმე დაპირისპირებულ ჯგუფს მხარს დაუჭერს. ის შეეცდება, რომ გამაერთიანებლის როლი ითამაშოს და შეინარჩუნოს ის, რაც თავად შექმნა. თუმცა ექსპერტები თანმხდებიან იმაზე, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ივანიშვილი ახალი სახეების ძიებას დაიწყებს და ამ გუნდს არჩევნებისთვის მთლიანად დაშლის. მას ახლა დროის მოგება სჭირდება, რასაც პირველსავე სხომაზე თავი გაართვა. უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძის თქმით, სხდომაზე დისკუსიისას განიხილეს, თუ რა წესებსა და კრიტერიუმებს უნდა დაეფუძნოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა. დეპუტატის აზრით, ივანიშვილის დამსახურებაა, რომ შეხვედრა კონსტრუქციულად წარიმართა. თალაკვაძის განცხადებით, გუნდის რომელიმე წევრის გარიცხვაზე მსჯელობა არ ყოფილა. დისკუსია არგუმენტების მოსმენით მიმდინარეობდა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი აცხადებს, რომ არსებობს რესურსი, გუნდში პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება მოხდეს.

„პროცესი უკვე უბრუნდება ნორმალურ სამუშაო კალაპოტს და ვფიქრობ, არის რესურსი ძირითად პრინციპებზე შეთანხმებისა, რითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სამუშაო პროცესში უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების დროს გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. დღეს გუნდში არსებობს თანხმობა, რომ ჩვენ ყველა ვიმუშავებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც ემსახურება სასამართლოს დამოუკიდებლობას და ისეთ სასამართლოს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპულ განვითარებას სჭირდება”, - აცხადებს თალაკვაძე. ლევან გოგიჩაიშვილის თქმით, შეხვედრაზე სასამართლო სისტემაში განსახორციელებელ რეფორმებზე იმსჯელეს, მათ შორის უზენაეს სასამართლოში გასამწესებელ კადრებზე. ე.წ. ამბოხებულმა დეპუტატებმა კი სცადეს კოლეგების დარწმუნება იმ პოზიციის სისწორეში, რაც მათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევასთან დაკავშირებით აქვთ.

ეკა ბესელია საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს შორის გამართული შეხვედრით კმაყოფილია. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი შეხვედრას მედიატორობას უწევდა და რამდენიმე დეპუტატმა განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მოსამართლეთა შერჩევასთან დაკავშირებით. მას ჰქონდა ლიდერისა და მედიატორის ის როლი და ფუნქცია, რომლითაც მან შეძლო, რომ ეს სხდომა წაეყვანა მაქსიმალურად კონსტრუქციულად, მაქსიმალურად კოლეგიალურად, კულტურულად და ეთიკურად. ამიტომ, მე ვამბობ, რომ მისი როლი იყო დღეს ძალიან მნიშვნელოვანი,“ - აცხადებს ბესელია. იგი არ გამორიცხავს, რომ ორ დღეზე მეტხანს გაგრძელდეს შეხვედრა. თავად კი პრინციპულ პოზიციას არ დათმობს სიის შედგენასა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ე.წ. ამბოხებული დეპუტატების პარტიიდან შესაძლო გარიცხვას, ბესელიას თქმით, ამასთან დაკავშირებით შეხვედრაზე არ უსაუბრიათ.

როგორც ექსპერტები ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა მედიატორის ფუნქცია შეასრულა და ადრე ნათქვამი, როცა მან ბესელია გუნდურობის პრინციპის დარღვევაში დაადანაშაულა, არ გაუმეორებია.

ჩააცხრობს თუ არა ორდღიანი შეხვედრების რაუნდი განხეთქილებას ერთი გუნდის ორ ფრთას შორის, ეს ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

ინგა შიოლაშვილი

## რედაქტორის სვეტი

# ძვირფასო მკითხველო!

თქვენ მიიღეთ 2018 წლის ბოლო 51-ე ნომერი, რომელსაც მოუთმენლად ელოდით, რადგან ფიქრობდით, რომ, ტრადიციულად, საეკლესიო კალენდრის შემდეგ, თქვენ მიიღებდით ბავშვების ფოტოებით დამშვენებულ საერო კალენდარს, მაგრამ იმედი გაგიცრუვდათ. ბევრმა თქვენგანმა დარეკა და მიზეზი იკითხა, ავუხსენით კიდეც, თუმცა, გადავწყვიტეთ, გვესაუბრა თქვენთან ამ საკითხზე, რადგან ბევრი თქვენგანი ფიქრობს, რომ ეს კალენდარი რედაქციის მიზეზით არ გამოვიდა. ეს კი ასე არ არის - სინამდვილეში საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, ჩვენ დეკემბრის დასაწყისშივე დავიწყეთ და მთელი თვე ვაგრძელებდით განცხადების გამოქვეყნებას, სადაც მსურველებს მოვუწოდებდით 30 დეკემბრამდე მოეწოდებინათ სურათები, რედაქციაში სულ 3 სურათი შემოვიდა კალენდრისთვის. ჩვენ, შეგნებულად არ გაგვიზრდია თანხა კალენდარში სურათის ჩასმაზე, რათა ამას ხელი არ შეეშალა ადამიანებისათვის და ახალი წლის სამზადისისას ეს სურვილი მძიმე ეკონომიკურ ტვირთად არ დასწოლოდა მათ ბიუჯეტს. მიუხედავად ამისა, სურათები რედაქციაში არ შემოვიდა. მიზეზი კი, ძირითადად, ის გახლავთ, რომ ფოტოგრაფებმა, უკვე ორი-სამი წელია, საბავშვო ბაღების და დაწყებითი კლასების ბავშვთა მშობლებს შესთავაზეს ინდივიდუალური კალენდრის დამზადება და მშობლებმაც აიტაცეს ეს „სიახლე“. ამაში, თავისთავად, ცუდი არაფერია, მაგრამ ის ჩვენი კალენდრის ფუნქციას ვერ შესარულებს, რადგან კალენდარი, რომელზეც მრავალი ბავშვის ფოტოა მოთავსებული, მოზარდებში აღძრავს ცნობისმოყვარეობას დააკვირდეს თითოეულ მათგანს, განასხვავოს ისინი ერთმანეთისაგან, დაიმახსოვროს მათი გვარები და სახელები, ამოიცნოს შეხვედრისას, შეიმეცნოს, რომ მათ ყველას აერთიანებს ერთი სივრცე და, რაც ყველაზე მთავარია, უხარიათ, რომ სხვებთან ერთად არიან წარმოჩენილნი, ანიჭებთ ეს სიამოვნებას და უვითარებს გუნდურობის პრინციპს, რაც ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი გავითვალისწინეთ, როცა ეს სიახლე დავნერგეთ ჯერ კიდევ 17 წლის წინ და მინდა გითხრათ, რომ მაშინ უფრო უჭირდა ხალხს ეკონომიურად, მაგრამ იყო წლები, როდესაც იმდენი სურათი შემოდიოდა, ერთ კალენდარში ვერ ვტევვდით და მათ, ვისაც წმინდანების სახელები ერქვათ, საეკლესიო კალენდარზე ვანთავსებდით. ძალიან მწყდება გული, რომ ეს ტრადიცია იკარგება. მინდა მშობლებმა, ბებიებმა და პაპებმა გაითვალიწინონ ეს სამომავლოდ, რადგან თქვენი შვილის და შვილიშვილის ინდივიდუალური სურათი ისედაც ბევრი გაქვთ სახლში, საერთო კალენდრიდან კი უფროსებიც ინტერესდებიან და იღებენ ინფორმაციას, თუ ვინ ვისი შვილი ან შვილიშვილია, ვის ჰქვია პაპის ან ბებიის სახელი და სხვა. ისე, რომ ეს დასაკარგი ტრადიცია არ არის! იმედია, ამ ყველაფერს მომავალში გაითვალისინწებს ჩვენი ერთგული მკითხველი.

ახლა შევეხოთ მეორე საკითხს: – იანვარი მიიწურა და ახლა გთავაზობთ 2019 წლის №1 გაზეთს. დაგვიანება გამოიწვია საკანონმდებლო ვალდებულებამ, სტამბის შესარჩევად ტენდერი გამოვაცხადოთ. ეს პროცესი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით გაჭიანურდა, რამაც ხელი შეუშალა გაზეთის გამოცემას. ბოდიშს გიხდით დაგვიანებისთვის და გაცნობებთ, რომ გაზეთი ტრადიციულად გამოვა ყოველ ორშაბათს. გმადლობთ, რომ გვენდობით!

**პატივისცემით,**
ნაირა გორაშვილი

# რა გახდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი?

***სუნთქვის მწვავე უკმარისობით და მაღალი ტემპერატურით დედოფლისწყაროში 49 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. გავრცელებული ცნობით, მამაკაცი გულის ქრონიკულ დაავადებას უჩიოდა. გარდაცვალების მიზეზი დაგვიანებული მკურნალობა გახდა. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებენ, სუნთქვის უკმარისობის მიზეზი რა გახდა და იყო თუ არა ეს ე.წ. ღორის გრიპი.***

„მამაკაცი ჩვენს დაწესებულებაში სუნთქვის მწვავე უკმარისობით და მაღალი ტემპერატურით შემოვიდა, ჩაუტარდა გადაუდებელი დახმარება, ვითარების სიმძიმის გამო გამოძახებულ იქნა კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟი და გადაიყვანეს თბილისში შემდგომი მკურნალობის მიზნით. პაციენტი ჩვენს სტაციონარში არ გარდაცვლილა. ზოგადად, სუნთქვის მწვავე უკმარისობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ვირუსული ინფექციისგან, ასევე ბაქტერიოლოგიური და სხვა სახის პრობლემებით. გარდაცვალების მიზეზი შემდგომი გამოკვლევებით დადგინდება და ინფორმაციას რაიონული ჯანდაცვის ცენტრი მიიღებს,“ – აღნიშნავს დედოფლისწყაროს საავადმყოფოს დირექტორი ხათუნა ზურიკაშვილი.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი გულის პრობლემებია. მთავარი ეპიდემიოლოგის, ლალი ალადაშვილის მტკიცებით, გრიპის ვირუსით დედოფლისწყაროში გარდაცვალების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

„გრიპებთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში იანვრის პირველი ნახევარი უფრო რთული იყო. მომართვიანობა გაზრდილი იყო როგორც სტაციონარში, ისე ამბულატორიულში. იანვრის თვეში 136 პაციენტს გაეწია გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, ხოლო 79 ამბულატორიებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით. ეს იყო გრიპის და გრიპის მსგავსი სიმპტომები. ყველა მათგანს შესაბამისი დახმარება გაეწია „ტამიფლუს“ დახმარებით, იმკურნალეს და ყველა მათგანი გამოჯანმრთელებული გაეწერა. მხოლოდ რაიონული ჯანდაცვის ცენტრმა 120 კაფსულა „ტამიფლუ“ გასცა უფასოდ 12 პაციენტზე. ამას ემატება საავადმყოფოში გაცემული „ტამიფლუ“. მარაგი საკმაოდ ბევრი გვაქვს. ამჟამად მომართვიანობამ უკვე იკლო. რაც შეეხება გარდაცვლილ მამაკაცს, გულის პრობლემებითაა გარდაცვლილი. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, გრიპის დიაგნოზით დედოფლისწყაროში არავინ გარდაცვლილა. როდესაც არის ღორის გრიპი, ან წითელა, ასეთ შემთხვევაში სხვა კლინიკაში დადასტურებული დიაგნოზი აუცილებლად გვეცნობება. ამჟამად ასეთი ინფორმაცია არ გვაქვს,“ – აღნიშნავს ლალი ალადაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

# დედოფლისწყაროს სოფლების გაზიფიცირება გრძელდება



შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში: არხილოსკალოსა და ქვემო ქედში გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები დაასრულა. როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, პროექტის ფარგლებში ჯამში აშენდა 55 636 გრძივი მეტრის გაზსადენი, რომლის საშუალებითაც 1 296 კომლი შეძლებს ბუნებრივი გაზით სარგებლობას.

სოფელ ზემო ქედში ტექნიკური პროცედურული პრობლემების გამო სამუშაოები შედარებით გვიან დაიწყო, ამდენად, ამ სოფელში მცირე ჩამორჩენაა. თუმცა, სამუშაოები წელსაც გრძელდება. ამას გარდა, პირველ ეტაპზე, გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში შიდა ქსელის მოწყობა დასრულდა ასევე ალაზნისპირა სოფლებში სამთაწყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში.

პრემიერის განკარგულებით დედოფლისწყაროს სოფლების გაზიფიცირებისთვის 2018 წელს 11 მილიონი ლარი გამოიყო. შედეგად, გაზი ისეთ სოფლებში შედის, სადაც ბუნებრივი აირი მათი არსებობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა. დედოფლისწყაროს კიდევ 3 სოფელში გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარე წელს გაგრძელდება. მათ შორისაა ახმეტის სოფელი კასრისწყალი, რომელიც, სულ მუდამ დედოფლისწყაროს საზრუნავი იყო.

სოფელ თავწყაროში მერის წარმომადგენლის თანაშემწე **თეიმურაზ აფციაური** ამბობს, რომ სოფელში გაზის მილი უკვე შეყვანილია და სამუშაოები მალე დასრულდება. მისი თქმით, ამ სოფელში სხვადასხვა პრობლემის, მათ შორის სკოლისა და ამბულატორიის არარსებობის გამო, მიგრაცია გააქტიურდა, ბუნებრივი აირი კი მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას ხელს შეუწყობს და მათ საყოფაცხოვრებო პირობებს კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

„120 წელს ითვლის მთიელი ხალხის ქედში ჩამოსახლება. ამდენი თაობა ნატრობს ბუნებრივ აირს. უხუცესებისგან მახსოვს, სულ ეს პრობლემა იყო საოცნებო. აქ ყველაზე მწვავედ დგას სათბობი შეშის პრობლემა, რადგან აქ ტყე ფიზიკურად არ გვაქვს... სწორედ ამის გამოა, რომ მოსახლეობამ ჯაგიც კი გაკაფა და სათბობად იმას იყენებდნენ. სხვა გზა არ იყო და წვრილი ჯაგნარიც კი დაიჭრა. თავის დროზე შირაქშიც ქარსაფარი ზოლები სწორედ ამიტომ გაიჩეხა, რომ 90-იანების ცივ და ბნელ დღეებში ოჯახები გაეთბოთ. დაუჯერებელი ოცნება დღეს რეალობად იქცა. ზემო ქედში პროცესი დაგვიანდა, რადგან სამუშაოთა მწარმოებელი კომპანიის გამოვლენა გაჭიანურდა. ახლა სამუშაოების 50%-ზე მეტი უკვე შესრულებულია და პროცესი ისევ გრძელდება. შიდა ქუჩებზე მილის დაფენა უკვე სრულდება და ცენტრალური მაგისტრალი დარჩება. არხილოსკალოდან მოჰყვებიან და ნელნელა მოიწევენ, მეორე საბავშვო ბაღს გამოცდნენ. ხარისხი და ტემპი კარგია და კმაყოფილი ვართ. წინა სოფლებში მთავარ გზაზე ორივე მხარეს ერთდროულად გაითხარა, რამაც ავტომანქანების მოძრაობა შეაფერხა. ამიტომ ახლა გადაწყდა ჯერ მარცხენა მხარეს დაფინონ მილი, შემდეგ მეორე მხარეს გაიჭრას ორმო... კომუნისტების დროსაც დაიწყეს აქ გაზის შემოყვანა, მილი სოფლის ცენტრამდე მოვიდა, კანტორის შენობამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დასრულდა. ახლა მოსახლეობა კმაყოფილია, რადგან წარმოუდგენელი სიკეთე იქნება ჩვენი ხალხისთვის ბუნებრივი აირის შეყვანა,“ – განუცხადა „შირაქს“ ზემო ქედში მერის წარმომადგენელმა **ბეჟან სუხაშვილმა**.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუდმივად ახორციელებს მოსახლეობის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ განახლდა



***ორწლიანი პაუზის შემდეგ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება კვლავ დაიწყო.***

***„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მუნიციპალიტეტებში 5 ათასიდან 10 ათას ლარამდე ღირებულების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდება. პროგრამა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) ქვეკომპონენტი იქნება და მისი ოდენობა 20 მილიონი ლარით განისაზღვრება.***

***პროგრამისთვის პროექტებს მოსახლეობა დასახლებებში გამართულ საერთო კრებებზე შეარჩევს. პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები განსაზღვრულია და მათ შორისაა — სასმელი წყლის და სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების მოწესრიგება; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გ ზების და ხიდების მოწესრიგება; გარე განათების, სკოლების მიმდებარე ტერიტორიის, კულტურის ობიექტების, სპორტული ინფრასტრუქტურის, მოედნებისა და სკვერების მოწყობა და სხვა.***

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში, პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, საერთო კრებები უკვე დაიწყო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის საერთო კრებებმა სტარტი ქედების ზონიდან აიღო. ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში ჩატარებულ შეხვედრებზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა , მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა და მერის წარმომადგენლებმა პროგრამის მნიშვნელობასა და სიახლეებზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თითოეული სოფლისათვის განსაზღვრული თანხები გაორმაგდა, რასაც ასევე დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. ეს კი თითოეულ სოფელში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების საშუალებას მოგვცემს.

შეხვედრებზე მოსახლეობამ საკუთარი მოსაზრებები ღიად დააფიქსირა და ძირითადი პრიორიტეტებიც დაასახელა.

ზემო ქედელების არჩევანი ასე გამოიყურება – რეკრეაციული ზონის მოწყობა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მონტაჟი, საქონლის გადასასვლელი გზის მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა.

არხილოსკალოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა, სოფლიდან მინდორში გასასვლელი გზების რეაბილიტაცია, ხოლო ქვემო ქედის მოსახლეობის არჩევანია სასაფლაოს მოწესრიგება, სოფლის ცენტრში არსებული ვაჟა-ფშაველას ძეგლის რეკონსრუქცია და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა.

ზემო მაჩხაანის მოსახლეობისთვის სოფელში მოსაგვარებელი საკითხებია-კულტურის სახლის ნაწილობრივი გადახურვა, ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა, დარჩენილ უბნებზე გარე განათების მონტაჟი;

არბოშიკელთა და ოზაანელთა მიერ სოფლის საერთო კრებებზე დასახელებული პრიორიტეტები თითქმის ერთმანეთის იდენტურია - შიდა გზების მოხრეშვა, ცენტრალური სანიაღვრე არხის მოწყობა, დარჩენილ უბნებზე გარე განათების მონტაჟი,ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა.

23 იანვარს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საერთო კრებები და კონსულტაციები სამთაწყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში გაიმართა. საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი ირაკლი თოფურია, კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი შეხვდნენ.

შეხვედრებზე ხელისუფლების წარმომადგენლები სოფლებში არსებულ პრობლემებს გაეცნენ და იმ პროექტებზე ისაუბრეს, რომელთა განხორციელებაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს იგეგმება.





კრებებზე სამთაწყაროს, ფიროსმანისა და საბათლოს მაცხოვრებელთა გადაწყვეტილებით, პროგრამით განსახორციელებელი პროექტები დასახელდა: სამთაწყარო-გარე განათება, წყლის დებეტის გაზრდა, სპორტული დარბაზის მოწყობა, გმირთა მემორიალის გაკეთება.

ფიროსმანი-რეკრეაციული ზონის კეთილმოწყობა, სასაფლაოს მოწესრიგება. საბათლო-შიდა გზების მოხრეშვა, სასმელი წყლის დებეტის გაზრდა.

შეხვედრაზე დაზუსტდა, რომ თანხის განაწილება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მოხდება. სოფელი, სადაც 200 კაცამდე ცხოვრობს, 5 000 ლარს მიიღებს, 400-კაციანი – 6 000 ლარს, 1 000 კაცამდე მაცხოვრებელი - 8 000 ლარს, ხოლო სოფელი 1000 კაცზე მეტი მოსახლით - 10 000 ლარს.

**მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# „წითელი ჯვრის“ მორიგი სოციალური აქცია




საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც დედოფლისწყაროში პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სახით არის წარმოდგენილი, ადგილობრივ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აქტიურად უწევს სხვადასხვა ტიპის დახმარებას. ეს იქნება ექოსკოპიური თუ ლაბორატორიული გამოკვლევები, თვალის, კარდიოლოგიური თუ გინეკოლოგიური მომსახურება. გარდა ამისა, ორგანიზაცია საქველმოქმედო აქციებსაც ხშირად ატარებს და ცდილობს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს მცირედით მაინც დაეხმაროს.

24 იანვარს სწორედ საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით, საქველმოქმედო აქცია სოციალურად დაუცველი 5 ოჯახისთვის ჩატარდა. გაზეთი „შირაქი“ აქციასთან დაკავშირებით **საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, „წითელი ჯვრის“ პირველადი ჯანდაცვის კლინიკის მენეჯერს** ნათელა თამაზაშვილს გაესაუბრა:

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება საქველმოქმედო აქციებითა და საქველმოქმედო მოქმედებებით არის ცნობილი. მათ შორის ჩვენი ფილიალიც. ჩვენთან წითელი ჯვარი საექიმო კაბინეტის სახით არის წარმოდგენილი. საექიმო კაბინეტი მოიცავს აბსოლუტურად ყველანაირ კვლევებს. თანამედროვე აპარატურით ტარდება ექოსკოპიური, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური გამოკვლევები, გვყავს თვალის სპეციალისტები, ფუნქციონირებს ლაბორატორია. ეს ექიმები ყოველთვის ადგილზე არიან და სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან. გარდა ამისა, ვატარებთ ასეთი ტიპის აქციებსაც, რომლითაც მოსახლეობას სხვადასხვა სახის პროდუქტებით ვეხმარებით. გავდივართ სოფლებში ჩვენი კვლევის აპარატურით, აქ სოციალურად დაუცველ ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოვიდეს და გამოკვლევები ჩაიტაროს. ამჟამად ეს აქცია დაფუძნებულია ჩვენი საწერვო ანარიცხების ჩარიცხვის შედეგად სახელმწიფოსგან დაბრუნებულ თანხაზე, რომელიც ამჯერად 178 ლარს შეადგენს. ეს თანხა გადანაწილდა ხუთ ოჯახზე, რომლებიც არიან სოციალურად გაჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახები. თავისი სურვილით აირჩევენ მაღაზიიდან ამ 35 ლარის ფარგლებში პროდუქტს და შემდეგ მათ ეს პროდუქტი უსასყიდლოდ გადაეცემათ.“

აქციის ფარგლებში, არჩეულმა ბენეფიციარებმა 35 ლარის ფარგლებში სუპერმარკეტ „ახალ ერაში“ უსასყიდლოდ, თავიანთივე სურვილით არჩეული პირადი მოხმარებისა და საკვები პროდუქტები შეიძინეს. ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ სოციალურ დახმარებასთან ერთად, მათ მსგავსი აქციები ძალიან ეხმარებათ და ნამდვილად გრძნობენ წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციის მხარში დგომას.

თეა ჭოტაშვილი: „ამ აქციაში პირველად ვარ ჩართული. ისე სოციალური დახმარება თუ რამე არის მარტოხელა დედისთვის, თუკი რამე დამჭირდება და თუკი რამით შეუძლიათ, ნამდვილად გვეხმარებიან. ესენი რომ არ იყვნენ და მხარში რომ არ მედგნენ, სამი შვილის გაზრდა ძალიან ძნელია, თან დღევანდელ ცხოვრებაში, სადაც სამსახური მუდმივად ჭირს. რომ არ იყოს ეს სოციალური და ასეთი ტიპის დახმარებები, რა მეშველებოდა, არ ვიცი“.

მაკა ლეკაშვილი: „რა თქმა უნდა, კარგია, როცა ასე გეხმარებიან, თანაც მაშინ, როდესაც ადამიანი, მარტო სოციალურ დახმარებაზე ხარ დამოკიდებული. ასეთი აქციები ძალიან გვახარებს და კმაყოფილი ვარ. ეს ძალიან კარგია ხალხისთვის“.

ამ ეტაპზე ორგანიზაციამ, სპეციალური სიების დახმარებით, მეტად გაჭირვებული ოჯახები ჩართო აქციაში: „ჩვენ გვაქვს სპეციალური სიები. მთელ დედოფლისწყაროს რაიონს კარგად ვიცნობ, ვიცი, რომელ ოჯახს უჭირს, ვისთან რა სიტუაციაა, აქედან გამომდინარე, ყველაზე გაჭირვებული ვინც არის, ვისთვისაც ეს დახმარება დიდი შეღავათი იქნებოდა, ამ ეტაპზე მათ შეეხოთ აქცია. გარდა წითელი ჯვრისა, ყველას გვერდში ვუდგავარ და ყველამ კარგად იცის ჩემი დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ. ვცდილობ, მე თუ რამე ხელმეწიფება, ყოველთვის დავეხმარო ხალხს.“ - აღნიშნავს ნათელა თამაზაშვილი.

P.S შეგახსენებთ, რომ გასულ დეკემბერს, წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი საქველმოქმედო პროექტის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ 100 მრავალშვილიან და არასრულწლოვანი შშმ პირების ოჯახებს საკვები პროდუქტები გადაეცათ. საჩუქრები ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრებ მოქალაქეებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის თანამშრომლებთან ერთად სახლში, პირადად მიუტანა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი



# საპენსიო სისტემის გადატვირთვა

კომპიუტერს ვრთავ. შევდივარ საძიებო სისტემაში. ახალ ამბებს ვეცნობი. ქვეყნის ყველა საინფორმაციო, სოციალური თუ ვებ-სივრცე საპენსიო რეფორმის ცვლილებას განიხილავს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთმანეთშია არეული: ზოგი აძაგებს, ზოგიც აქებს, ზოგი აქილიკებს კიდეც. მაგრამ, სულ რამდენიმე წამი გჭირდებათ იმისთვის, რომ ვებ-გვერდი www.pensions.ge გახსნათ და დეტალურად გაეცნოთ 2018 წლის დეკემბერში ამოქმედებული სააგენტოს ფუნქცია-დანიშნულებას, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე. საპენსიო სააგენტო, ორგანიზებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოება და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო ამონაგები. მაგრამ...

**რა ხდება ?**

საქართველოს კანონპროექტის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ 2016 წლის ბოლოსთვის პენსიისა და სოციალური დახმარების მიმღებთა საერთო რაოდენობამ 887,000 მიაღწია (ეს რიცხვი მოიცავს ასაკით პენსიონერებს, შშმ პირებს, მარჩენალდაკარგულებსა და სპეციალური კატეგორიის პენსიონერებს), რაც ახალი აღრიცხვის თანახმად, მოსახლეობის 22%-ს შეადგენს. აღნიშნული კატეგორია 2030 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება და 1.1 მილიონს მიაღწევს. სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ფონზე, გრძელვადიან პერსპექტივაში, სულ უფრო გართულდება პენსიის არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება. ამავე განმარტების თანახმად, საჭიროა დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რათა სამომავლო საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს. მთავრობის ინიციატივით, მოქალაქეს შეეძლება თავისი პენსია თვითონ დააგროვოს.წლების განმავლობაში დაგროვებული თანხა კი საპენსიო ასაკის მიღწევისას უკან დაუბრუნდება. აქვე ვკითხულობთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს, შექმნას დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის და საშულებას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი (ჩანაცვლების კოეფიციენტით დგინდება პენსიის ქვედა ზღვარი, რათა ის არ იყოს საშუალო ხელფასის კონკრეტულ პროცენტზე ნაკლები). ასევე, დანაზოგების სისტემა პირს საშუალებას აძლევს, უკეთ დაგეგმოს მომავალი საპენსიო შემოსავალი და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სოციალური უზრუნველყოფის პაკეტზე. პარალელურად ისევ იარსებებს დღევანდელი პენსიების გაცემის სისტემა ანუ სოციალური პენსიაც. სახელმწიფო ჩვეულებრივად გადაგიხდით პენსიას, მიუხედავად იმისა, ისარგებლებთ თუ არა დაგროვებითი პენსიით.

**როგორ ვაგროვებთ პენსიას?**

კანონპროექტის თანახმად, დამსაქმებელი დარიცხული ხელფასის 2 %-ს იხდის, დასაქმებულიც - 2 %-ს და სახელმწიფოც - 2%-ს. მაგალითად, თუ თქვენი ხელფასი 1 000 ლარია, დამსაქმებელი საპენსიო ფონდში გადაიხდის 20 ლარს, თქვენ, ანუ დასაქმებული, ასევე - 20 ლარს და სახელმწიფოც -20 ლარს. ეს, საბოლოოდ, თვეში 60 ლარი გამოვა. მაგ: დასაქმებულის დარიცხული ხელფასი შეადგენს თვეში 1000 ლარს. საპენსიო სქემაში მონაწილეობამდე, დასაქმებული, საშემოსავლო გადასახადის გამოკლების შემდეგ ხელზე მიიღებდა 800 ლარს. საპენსიო სქემაში მონაწილეობის შემთხვევაში, დარიცხული ხელფასის 2%, ანუ 20 ლარი, გადაირიცხება მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დარჩენილი თანხიდან 1000-20=980 ლარი, დაკავდება 20% საშემოსავლო გადასახადი და მონაწილე ხელზე აიღებს 784 ლარს. საპენსიო სქემაში მონაწილეობის შემთხვევაში, დასაქმებულმა ხელზე აიღო 800-784=16 ლარით ნაკლები განკარგვადი თანხა. სანაცვლოდ, მონაწილეს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩაერიცხა 20 ლარი საკუთარი შენატანი, 20 ლარი დამსაქმებლის შენატანი და 20 ლარი სახელმწიფოს შენატანი, სულ - 60ლარი. ფაქტობრივად, მონაწილემ განახორციელა 16 ლარის ურისკო „ინვესტიცია“ და მიიღო(60-16)/16 = 275% მყისიერი ამონაგები. ამ სქემიდან არსებობს გამონაკლისიც: იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ხელფასი ან/და შემოსავალი წელიწადში 24 ათას ლარს გადააჭარბებს, სახელმწიფო მხოლოდ 1 პროცენტს გაიღებს, ხოლო თუ შემოსავალი 60 ათას ლარზე მეტია, სახელმწიფო თავის წილს საერთოდ აღარ იხდის.




**შეგიძლიათ თუ არა უარი თქვათ დაგროვებაზე?**

ამის გაკეთება ყველას არ შეეძლება. თუ ხართ 40-წლამდე ასაკის დასაქმებული,თქვენ ვალდებული ხდებით, მონაწილეობა მიიღოთ დაგროვებითი პენსიის სქემაში. თუ 40 წლის უკვე ხართ, სავალდებულოა სქემაში ჩართვა, თუმცა 2019 წლის 1 აპრილიდან - 1 ივნისის შუალედში შეგიძლიათ პროგრამის დატოვება. ამისთვის სააგენტოს სახელზე განცხადება უნდა დაწეროთ, უკვე დაგროვებული თანხა კი უკან დაგიბრუნდებათ თქვენც, დამსაქმებელსაც და სახელმწიფოსაც. თუ კვლავ გადაწყვიტეთ სისტემაში ჩართვა,ეს შესაძლებელი იქნება, თუმცა, ამის შემდეგ სისტემის დატოვებას და მასზე უარის თქმას ველარ შეძლებთ. თუ უკვე შეგისრულდათ 60(კაცის შემთხვევაში) - 55 (ქალის შემთხვევაში) წელი, თქვენთვის დაგროვებითი პენსიის სისტემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ეს კანონი ეხებათ თვითდასაქმებულებსაც. თუ თვითდასაქმებული პირი პენსიის დაგროვებას გადაწყვეტს, მან ფონდში შემოსავლის 4% უნდა გადაიხადოს. სახელმწიფო კი 2%-ს უმატებს. დამსაქმებლის მიერ საპენსიო სააგენტოში დასაქმებულის და საკუთარი საპენსიო შენატანის გადახდის ვალდებულების დარღვევა “დაგროვებითი პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით, განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება კი - 1000 ლარის ოდენობით.

**როგორ გადანაწილდება პენსია და ხომ არ დავკარგავთ ფულს?**

სისტემაში თუ მხოლოდ 5 წელი იყავით, პენსიაზე გასვლისას შეგიძლიათ თანხა ერთიანად გაიტანოთ. საპენსიო სააგენტო სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. დაგროვებული პენსია კერძო საკუთრებაა. მასზე წვდომა არა აქვს არც სასამართლოს, არც ბანკს. მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხა მონაწილის უპირობო და ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენს. ის დაცულია კანონით და არ ექვემდებარება ყადაღას, დავალიანებაში დაქვითვას, ინკასოს ან აღსრულების რომელიმე სხვა საშუალებას. სხვა შემთხვევაში პენსიაში გასვლის დროს დაგროვილი თანხა გადანაწილდება დროზე, რომელიც იმ მომენტისთვის მიჩნეული იქნება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობად. მაგალითად, თუ სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2030 წელს დაადგენს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცის შემთხვევაში 75 წელია, პენსიაზე 65 წლის ასაკში გასულ მოქალაქეს თანხა 10 წელზე გადაუნაწილდება და ყოველთვიურად აიღებს. მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხა ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას. სააგენტო ფულის დაბანდების სამ ვარიანტს შემოგთავაზებთ. აქედან ერთი დაბალრისკიანი (ფულადი სახსრები და დეპოზიტები - 75 პროცენტამდე, სავალო ფასიანი ქაღალდები - 100 პროცენტამდე, საწარმოთა აქციები - 20 პროცენტამდე), მეორე საშუალო რისკის შემცველი ( ფულადი სახსრები და დეპოზიტები - 50 პროცენტამდე, სავალო ფასიანი ქაღალდები - 75 პროცენტამდე, საწარმოთა აქციები - 20 პროცენტიდან - 40 პროცენტამდე, სხვა აქტივების ტიპები - 10 პროცენტამდე), მესამე კი მაღალ რისკთან დაკავშირებულია (ფულადი სახსრები და დეპოზიტები - 25 პროცენტამდე, სავალო ფასიანი ქაღალდები - 50 პროცენტამდე, საწარმოთა აქციები - 40 პროცენტიდან 60 პროცენტამდე). პირველი ხუთი წლის განმავლობაში პენსიის დამგროვებელს მხოლოდ დაბალრისკიანი პორტფელის არჩევა შეეძლება, შემდეგ კი უკვე - სურვილისამებრ. საინვესტიციო საქმიანობა ხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მიერ, საინვესტიციო საბჭოს მიერ შემუშავებული და საპენსიო სააგენტოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად.

რა თქმა უნდა, კანონპროექტზე არაერთი განსხვავებული აზრი გამოითქვა. ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის, ეკონომიკის ასოცირებულმა პროფესორმა, გიორგი პაპავამ On.ge-ს უთხრა, რომ, შესაძლოა, ინვესტირება კერძო კომპანიების ობლიგაციებშიც განხორციელდეს, მაგრამ ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ვალის გაზრდას მოხმარდება, ანუ სახელმწიფო ფულს საპენსიო ფონდიდან ისესხებს. მისივე თქმით, ახალი სისტემის შემოღებით, ადამიანის დასაქმება უფრო ძვირი დაჯდება, რადგან დამსაქმებელს დამატებითი სავალდებულო ხარჯების გაწევა მოუწევს. იქნება შემთხვევები, როდესაც 4-პროცენტიან შენატანს დამსაქმებელი მთლიანად გადაიტანს დასაქმებულზე და ისევ დასაქმებულის ხელფასს მოაკლდება. პაპავას თქმით, მეტი დანაზოგი, ნაწილობრივ, ხელს უწყობს ეკონომიკას, თუმცა დანაზოგი დასაქმების უფრო გართულების ხარჯზე კეთდება. გიორგი პაპავას განმარტებით, შენატანს წლების შემდეგ თანხას მსყიდველუნარიანობა დაეკარგება. მისი თქმით, რისკი იზრდება თუ ქვეყანაში მაღალი ინფლაცია იქნება, ხოლო 3-4-პროცენტიანი ინფლაციის დროს პრობლემა არ შეიქმნება. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი ზოიძის თქმით, საპენსიო ფონდის ერთ-ერთი ფუნქცია საინვესტიციო აქტივობის მეშვეობით კონკრეტული მონაწილისთვის ისეთი უკუგების უზრუნველყოფა იქნება, რომ ამან ინფლაციას გადააჭარბოს. მისივე განცხადებით, იმისთვის რომ პირველ ეტაპზე ინვესტიციები გარანტირებული და კეთილსაიმედო იყოს, მას სახელმწიფო ჩადებს.




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებით, დაგროვებითი საპენსიო სქემის სახით ახალი გადასახადი შემოდის, რაც, კონსტიტუციით, მხოლოდ რეფერენდუმითაა შესაძლებელი. ორგანიზაცია განმარტავს, რომ საპენსიო შენატანი სავალდებულო გადასახადია. მისი ნაწილი საპენსიო სააგენტოს ხმარდება, ამ რეფორმით, იზრდება ხარჯები, მცირდება შემოსავალი და სამომავლოდ, პენსიის მიღება სააგენტოს გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ამ აზრს არ იზიარებს და ამბობს, რომ მექანიზმის სავალდებულო ხასიათი სავალდებულოა, რადგან სხვა შემთხვევაში საქართველოში არავინ დააგროვებს, მითუმეტეს ახალგაზრდა ასაკში. ის აცხადებს, რომ ეს სისტემა თავის დროზე ყველა ქვეყანამ შემოიღო სავალდებულოდ და შემდეგ ნებაყოფლობითი გახდა, მას შემდეგ, რაც ადამიანები მიხვდნენ, რომ ამას მათთვის სარგებელი მოაქვს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ჯერ კიდევ 2018 წლის მარტში აქვეყნებდა შენიშვნებს საპენსიო რეფორმის შესახებ და იმ რისკებს უსვამდა ხაზს, რომელიც თან ახლდა კანონპროექტს. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ სიბერეს, რადგან ამის საშუალებას დაბალი ხელფასები არ იძლევა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოც“ შენატანებს ახალ გადასახადად განიხილავდა და კონსტიტუციასთან წინააღმდეგობას უსვამდა ხაზს. ორგანიზაცია ალტერნატივად ნებაყოფლობით დაგროვებად საპენსიო სისტემას განიხილავდა. ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში სავალდებულო საპენსიო სისტემა არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, პოლონეთი და უნგრეთი იყვნენ პირველები, რომლებმაც საკუთარი საჯარო საპენსიო სისტემების პრივატიზება განახორციელეს. სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებით, ამ სისტემურ ტრანსფორმაციებს ამ საზოგადოებებში სხვა ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, სხვა სოციალური შედეგებიც მოყვა: მან შექმნა ახალი მენტალიტეტი და ახალი ტიპის შრომის დისციპლინა, რომელიც მიზნად თვითრეგულირებადი ადამიანების შექმნას ისახავდა. 2008 წლის კრიზისის შემდეგ ევროკავშირის მასშტაბით საპენსიო რეფორმების მაგალითმა აჩვენა, რომ გარდა სტრუქტურული ფინანსური კრიზისებით გამოწვეული უკონტროლო რისკებისა, ეს საპენსიო რეფორმები ისედაც ნეგატიურად აისახა მოსახლეობის იმ მნიშვნელოვან ნაწილზე, რომლებიც არასტაბილური შრომითი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, ჰქონდათ კარიერული საქმიანობის წყვეტა და დაბალი შემოსავალი. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, თუ რა განწყობა აქვს მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტს. მოსახლეობა, ძირითადად, სკეპტიკურად უყურებს პენსიის დაგროვებით სისტემას და არგუმენტად გაყინული პენსიები, გაუქმებული ანგარიშები და დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოჰყავთ. მათ ნაწილს ინფორმაციის ნაკლებობაც აწუხებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ინფორმაციული ვაკუუმი უფრო ნაკლებ სანდოობას იწვევს ხალხში. უკვე საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისთვის კი, დიდწილად უმნიშვნელოა მსგავსი რეფორმის განხორციელება.

კომპიუტერს ვთიშავ. საძიებო სისტემიდან გამოვდივარ. ქვეყნის ყველა საინფორმაციო, სოციალური თუ ვებ სივრცე ისევ საპენსიო რეფორმის ცვლილებას განიხილავს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთმანეთშია არეული: ზოგი აძაგებს, ზოგიც აქებს, ზოგი აქილიკებს კიდეც. მაგრამ, თქვენ მაინც უნდა გადაწყვიტოთ: გადატვირთავთ თუ არა თქვენს საპენსიო სისტემას ანდა შეიქმნით თუ არა ღირსეულ სიბერეს.

მასალა მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# მავნებელი მღრღნელი ტარიბანასა და შირაქში

***კახეთში მინდვრის თაგვი მომრავლდა. მავნებელი მღრღნელი მარცვლეული კულტურების ყანებს აზიანებს, გლეხები კი მღრღნელის საწინააღმდეგო პრეპარატების შეძენას ვერ ახერხებენ. განსაკუთრებით რთული ვითარებაა სიღნაღსა და დედოფლისწყაროში, შირაქისა და ტარიბანის ველზე. ადგილობრივები ამბობენ, რომ გასულ წლებში ასეთი რთული ვითარება არ ყოფილა. ისინი ხელისუფლებას შხამით დახმარებას სთხოვენ და იხსენებენ, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწათმოსარგებლეებზე თუთიის ფოსფიდი 2015 წლის შემდეგ აღარ დარიგებულა. სახელმწიფოსგან ქიმიკატებით დახმარებას ითხოვენ ძირითადად ის გლეხები, რომლებსაც შედარებით მცირე ნაკვეთები აქვთ და მათი მეურნეობა დიდად მომგებიანი არ არის.***



„უამინდობაა და თაგვია გაჩენილი, ძირს უჭამს ქერსა და ხორბალს, ამ ზაფხულს რა მოსავალი გვექნება, საკითხავია... აი, გადახედეთ, ბევრი სოროებია, ზოგგან უფრო მეტი შეგხვდებათ. გასულ წლებში ამდენი ნამდვილად არ იყო, წელს ბევრია. მთელი ზამთარი გვალვაა, წვიმა არ მოდის, თოვლი არ მოსულა და რა ვიცი, გამრავლდებოდა, აბა რა იქნებოდა?.. ბუნებაც გადაირია, ჯიბრში უდგა გლეხს. შარშანწინ სოფლის რწმუნებულმა ერთი პაკეტი მოგვცა 4 ოჯახზე, ეს ორი წელია, აღარავის მოუცია. მაშინ კარგად ვისარგებლეთ ამ დახმარებით. წელს კი ძალიან დაზიანდა ნაკვეთები, ხალხს უჭირს, ზოგს პურის ფული არ აქვს და თაგვის წამალი რითი შეიძინოს. ნაკვეთის მოვლა ისედაც ხარჯებთან არის დაკავშირებული, ახლა დამატებით თანხებს ითხოვს მავნებლებთან ბრძოლა და გლეხი ველარ სწვდება. ამიტომაც ბევრმა ვერ შეწამლა და მომრავლებულია თაგვი. ჩვენი თხოვნაა, რომ წინა წლების მსგავსად წელსაც თუ დაარიგებენ შხამს, ასე ყველა ნაკვეთში გამლიან და პრობლემაც გადაიჭრება," - პრობლემის სირთულეზე გვესაუბრებიან დედოფლისწყაროელები.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შალვა თეთვაძე, რომელიც ათეულობით წელია დედოფლისწყაროში მუშაობს, გაზეთ „შირაქთან" საუბრისას ამბობს, რომ ვითარებას კლიმატური პირობები კიდევ უფრო ართულებს. დედოფლისწყაროში ნალექი ამ დრომდე არ მოსულა, ზამთრის სეზონისთვის უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურა კი თაგვის გამრავლებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. გაზაფხულზე მღრღნელი კიდევ ერთ თაობას შობს, ამიტომ ის მომავალ თვეებში მავნებლის კიდევ უფრო მატებას პროგნოზირებს.

„გასულ წლებთან შედარებით წელს მინდვრის თაგვი ძალიან მომატებული რაოდენობით არის. ის დიდ ზიანს აყენებს მარცვლეულ კულტურებს, ხორბალს და ქერს. ძოვს და მთლიანად ჭამს მცენარეს, რის შედეგადაც ყანა ნადგურდება და მოსავლიანობა მცირდება. თაგვთან საბრძოლველად აუცილებელია, დროულად ჩატარდეს წამლობა. წამლობა ნაწილმა უკვე ჩაატარა, მაგრამ თუ ამ პროცესს მასიური ხასიათი არ აქვს, ასე ნაკლებად ეფექტურია, რადგან თაგვმა მალე იცის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება. აზრი არ აქვს, თუ ერთ ადგილას წამალს შეიტან და მეორე ნაკვეთში თაგვი ისევ დარჩება, ის ისევ გადმოინაცვლებს უკვე დამუშავებულ ნაკვეთშიც. თაგვი მოდებულია ქარსაცავ ზოლებში და გზის პირებზეც, ყველგან უნდა დამუშავდეს. მიწათმოქმედებმა უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ ნაკვეთის დამუშავება არ კმარა და აუცილებელია ქარსაცავი და გზის ნაპირებიც შეიწამლოს. თაგვი სწრაფად მრავლდება, მღრღნელი ორ-სამ თაობას იძლევა, რაც ზარალს ზრდის. წელს ვითარების გართულებას ხელი შეუწყო გვალვამ. ამ ზამთარს, ხორბლისთვის ძალიან არახელსაყრელი ამინდი იყო, იანვრის ჩათვლით ნორმალურად ნალექი არ მოსულა. ამას გარდა, ძალიან მაღალი ტემპერატურა იყო. როგორ შეიძლება იანვრის თვეში 7-8-10 გრადუსი სითბო ფიქსირდებოდეს?! სწორედ ამ დროს იცის თაგვმა აქტიური მოქმედება. მღრღნელის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტურია თოვლი და ყინვები. დაბალ ტემპერატურაზე მათი დიდი ნაწილი სოროში იხოცება. ამიტომ საჭიროა თოვლი, მას უნდა მოჰყვეს თოვლჭყაპი, როცა წყალი სოროში ჩავა, მღრღნელს სიცოცხლისუნარიანობას უსპობს. არახელსაყრელი ამინდია ხორბლისთვის, თუ ასე გაგრძელდა, წელს დედოფლისწყაროში ცუდი მოსავალი იქნება. ნალექი თუ იქნება, გარდა იმისა, რომ ეს მღრღნელის გავრცელებას შეაფერხებს, ამ დროს მცენარე უკეთესად ვითარდება, ძლიერდება. თაგვი ნაზ მცენარეს ჭამს, როცა გაუხეშებული და ძლიერია, დაჯეჯილების შემდეგ ზიანს ველარ მიაყენებს. თაგვი და ბზუალა ძლიერ მცენარეს განვითარებაში ხელს ველარ შეუშლის.

სხვა წლებისგან განსხვავებით წელს ასევე გავრცელდა პურის ბზუალა, რომელიც ასევე აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს მარცვლეულ კულტურებს. მის წინააღმდეგაც ტარდება წამლობები. განსაკუთრებით ისეთ ტერიტორიებზე, რომელ ნაკვეთებშიც შეუწამლავი თესლი დაითესა და მეპატრონემ დროულად არ იზრუნა ამაზე. როცა ბზუალის საწინააღმდეგო პრეპარატით წინასწარ შეიწამლება სათესლე მარცვალი, შემდეგ პრობლემა აღარ იჩენს თავს. ახლა, როცა ნათლად გამოჩნდა ბზუალა, იძულებულნი ხდებიან, ახლა იზრუნონ შეწამვლაზე. ეს დიდ ყურადღებასა და კონტროლს მოითხოვს, ყოველდღე უნდა შემოიარო ნაკვეთი და კარგად დააკვირდე, რათა არაფერი გამოგეპაროს. მთავარი ისაა, რომ ყველამ ერთობლივად უნდა იბრძოლოს, თუ ერთი ფერმერი ჩაატარებს პროცედურებს, მისი მეზობელი კი არა, ცხადია, პრობლემა ვერ გადაიჭრება და ზარალი დიდი იქნება".

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი მიიჩნევს, რომ წელს მავნებელი მღრღნელის პრობლემა ისე მწვავედ აღარ დგას. ნიკოლოზ ჯანიაშვილი გვეუბნება, რომ გასულ წლებში სახელმწიფო ფერმერებს თაგვის გამრავლების საწინააღმდეგო ქიმიკატს უფასოდ იმიტომ ურიგებდა, რომ მაშინ პრეპარატი საქართველოში არ იყიდებოდა. განსაკუთრებით 2015 წელს შექმნილი რთული ვითარების გამო, სახელმწიფომ თავად შეიძინა და კახეთის სოფლებში დაარიგა. მერის ინფორმაციით, დღეს მსგავსი დეფიციტი არ არსებობს და შესაბამისი ქიმიკატები არცთუ ძვირია.

პრობლემის სიმწვავეს არ აღიარებს არც სურსათის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს პრესსამსახურში აღნიშნავენ, რომ ამჯერად ქვეყანაში შხამის დეფიციტი არ არის, ამდენად პროცესში სახელმწიფოს ჩართულობის აუცილებლობას ამ ეტაპზე ვერ ხედავენ. მათი თქმით, დღეისათვის სააგენტო მხოლოდ ფაროსანას, კალიისა და ამერიკული თეთრი პეპელას შეწამვლას აფინანსებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ინფექციური და ვირუსული პიკის სეზონზე

***სადღესასწაულო დღეებში ყოველთვის აქტუალურია როგორც პიროტექნიკით სხეულის დაზიანების, ისე ალკოჰოლით ინტოქსიკაციის გახშირებული შემთხვევები. მოზარდების სხეულის დაზიანების ცალკეული შემთხვევები იყო ლაგოდეხში, თელავსა და წნორშიც. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება შეზღუდვების ამოქმედებაზე ალაპარაკდა. დეპუტატ მარიამ ჯაშის კანონპროექტი უკვე არსებობს, რომელიც არასრულწლოვანთათვის პიროტექნიკის მიყიდვას აკრძალავს. გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, თუ რამდენად მშვიდად ჩაიარა დედოფლისწყაროში სადღესასწაულო დღეებმა.***

საახალწლოდ დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის სულ 82 გამოძახება დაფიქსირდა. როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ჭუმბურიძემ გაზეთ „შირაქს" აცნობა, დედოფლისწყაროში საახალწლო პიროტექნიკით სხეულის დაზიანებისა და ალკოჰოლური სასმელით, ან საკვებით ინტოქსიკაციის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

31 დეკემბერს სასწრაფო დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს ფილიალში 17 გამოძახება განხორციელდა, 1 იანვარს – 26, ხოლო 2 იანვარს 39 გამოძახება. ყველა მათგანი ჩვეულებრივი გამოძახებები იყო და საახალწლო დღესასწაულის შედეგად გამოწვეული არ ყოფილა.

2 იანვარს დაახლოებით 21 საათისთვის, ჰერეთის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გამოძახებულ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს ადგილზე ქვეითად მოსიარულე მამაკაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა, შესაბამისად, ეკიპაჟს რეაგირება აღარ მოუხდენია.

რაც შეეხება წლიურ სტატისტიკას, 2018 წლის განმავლობაში იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სასწრაფოს 6 518 გამოძახება დაფიქსირდა. ყველაზე მეტი გამოძახება მარტის თვეში აღირიცხა – 642, ყველაზე ნაკლები კი სექტემბერში – 439.

**იანვარი – 504; თებერვალი – 517; მარტი – 642; აპრილი – 535; მაისი – 542; ივნისი – 535; ივლისი – 626; აგვისტო – 599; სექტემბერი – 439; ოქტომბერი – 514; ნოემბერი – 514; დეკემბერი – 551.**



ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში წიკლაურების ოჯახში გრიპის ვირუსითა და მაღალი ტემპერატურით 3 წლის ბიჭი გარდაიცვალა. დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ამბობენ, რომ პაციენტი მათთან არ წოლილა. „შირაქის" ინფორმაციით, ბავშვი ბოლოს წნორის არქიმედეს კლინიკაში იყო მოთავსებული, სადაც გარდაიცვალა.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ღორის გრიპის დიაგნოზს გამორიცხავენ. ცენტრის მთავარი ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი ამბობს, რომ ბავშვი შშმ პირია და ხშირად ავადმყოფობდა.

„ბოლოს დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მაღალი სიცხით მიმართა, თუმცა აქედან თბილისში გადაამისამართეს. მას შემდეგ მისი კვლევებისა თუ გარდაცვალების შესახებ ჩვენ ინფორმაცია არ გვქონდა. **H1N1** ვირუსი რომ ყოფილიყო, თბილისიდან აუცილებლად გვაცნობებდნენ და ღონისძიებებს გავატარებდით, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. ასეთი დიაგნოზი რომ დასმულიყო, თუნდაც ჩვენთან არ ემკურნალა, მაინც გვაცნობებდნენ. ყველა ადგილობრივ ექიმს ვესაუბრე, ვისაც პაციენტთან შეხება ჰქონია. ბავშვის ორგანიზმი ისედაც დასუსტებული იყო, პერიოდულად ხშირად აკითხავდა საავადმყოფოს, მაგრამ მისი მდგომარეობა იმდენად გართულებული იყო და იმდენად ბევრი რამ აწუხებდა, ადგილობრივი ექიმები საკუთარ თავზე ვერ იღებდნენ და თბილისში უშვებდნენ," – აღნიშნავს ლალი ალადაშვილი.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ბავშვს ბოლო ხანს მაღალი ტემპერატურა და ვირუსი ჰქონდა. ისინი არ აკონკრეტებენ რა სახის ვირუსია და იყო თუ არა ბავშვის გარდაცვალების მიზეზი **H1N1** შტამი, რომელიც „ღორის გრიპის" სახელითაა ცნობილი. დამატებით დეტალებზე მათ მედიასთან საუბარი არ სურთ.

ბოლო ხანს კახეთის რეგიონში წითელას ეპიდაფეთქებაა. თუმცა, დედოფლისწყაროს მონაცემები საგანგაშო არ არის. პირველ ეტაპზე სამი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა სამივე მათგანი საგარეჯოს მკვიდრია და დედოფლისწყაროს ფერმაში მუშაობენ. 24 იანვარს კი კიდევ სამი შემთხვევა დაფიქსირდა, ამჯერად 2 შემთხვევა ქალაქ დედოფლისწყაროში, ერთიც ზემო მაჩხაანში. წითელას სიმპტომებით ამ დროისთვის დედოფლისწყაროს საავადმყოფოს 6-მა მოქალაქემ მიმართა მონაცემები წითელას დასადასტურებლად დედაქალაქში გაიგზავნა. ანალიზის პასუხი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

რაც შეეხება სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის გამოძახებას, რომელიც მსხვერპლით დასრულდა – ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე გოლფის მარკის ავტომანქანა ქვეითად მოსიარულეს შეეჯახა. შემთხვევა 2 იანვარს, დაახლოებით საღამოს 21:00 საათზე მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, მძღოლს ალკოჰოლური ზემოქმედება არ დაუდასტურდა.

გარდაცვლილია დედოფლისწყაროში მცხოვრები 1975 წელს დაბადებული პეტრო გუნჩინი. სავარაუდოდ, ის ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა, რამაც უბედური შემთხვევა გამოიწვია.

„მწვანე ფერის გოლფი იყო, ნომერიც დამამახსოვრდა 047. ალბათ ნასვამები იყვნენ, ბიჭს რომ დაეჯახა, ადგილზევე გარდაიცვალა, სასწრაფომაც ვერაფერი უშველა. სასწრაფოს ექიმებმა თქვეს, ხელს ველარ წავავლებთ, უკვე დაღუპულიაო. შუა გზაზე მოდიოდა, ალბათ ნასვამი იყო, მძღოლმა რეაგირება ველარ მოასწრო და მანქანას შეუვარდა" – ამბობენ თვითმხილველები.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოში აცხადებენ, რომ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს საავადმყოფოში არავინ მიუყვანია, შესაბამისად დეტალებს არ ფლობენ. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# განათლების სისტემა დილემის წინაშე

**საერთაშორისო მედიის კვლევების მიხედვით, საქართველო ყველაზე ცუდი განათლების სისტემის მქონე ქვეყანათა რიცხვში ოცდამეხუთე ადგილზე მოხვდა. ის ფაქტი, რომ ამ სიაში მოვხვდით, მართალია, ბოლოში, მაგრამ მაინც მოვხვდით, უკვე უამრავ კითხვას ბადებს. რას ვხედავთ და განვიცდით მშობლები, ეს ერთი თემაა, მაგრამ როდესაც ამაზე უკვე აშკარად მიგითითებენ, ეს კიდევ ცალკე საკითხია, თანაც ძალიან საჭირბოროტო. არსებობს დიდი აზრთასხვადასხვაობა, არის კამათი და გამოსავალის ძიება. როდის უნდა გავხდეთ ღირსეული და წარმატებული განათლების სისტემის მქონენი და რა აუცილებელი კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ამისთვის? რა გზა გვაქვს გასავლელი, რომ სინათლის სხივმა კი არ შემოაღწიოს მხოლოდ საიდანმე, არამედ განათდეს ერთხელ და სამუდამოდ და დამთავრდეს ერთ წრეზე ტრიალი, რადგან მხოლოდ განათლების მაღალი ხარისხი განაპირობებს საზოგადოებრივი სიკეთის სიჭარბეს.**

**გადავწყვიტეთ ამ აქტუალურ თემაზე გვესაუბრა, რათა გავიგოთ საზოგადოების აზრი კითხვებზე: როგორია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ეფექტურობა, რა ცვლილებებს საჭიროებს ზოგადი სასკოლო განათლება, დავასახელოთ შეფასების სისტემის უარყოფითი და დადებითი მხარეები, როგორ უნდა გადავიდეს სკოლა ფორმალური შეფასებიდან შინაარსობრივზე, რომელია პედაგოგებისთვის მოტივაციის და პროფესიული უნარების გაუმჯობესების ყველაზე სწრაფი და მარტივი გზები.**



ლალი იაკობიშვილი, ***მეორე საჯარო სკოლის დირექტორი:*** სკოლა არის ზოგადი განათლების მიღების საშუალება და სოციალიზაციის ინსტიტუტი. სკოლა ამზადებს ბავშვს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და მის მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. დღეს მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას ჩვენი სკოლა. ჩემი აზრით, ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად ერთ- ერთი, სკოლების მიმართ დიფერენცირებული მიდგომების პოლიტიკის განხორციელებაა საჭირო, რადგან სკოლებს სხვადასხვა საჭიროებები აქვთ. განსხვავებული საჭიროებები დამოკიდებულია სკოლის ადგილმდებარეობაზე, სკოლის ტიპზე, სკოლის მოსწავლეთა სოციალურ მდგომარეობაზე და ა.შ. თუმცა, არის პრობლემები, რომლებიც, უმეტესობა სკოლებისთვის, საერთოა. ეს არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასკოლო ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები, რომელთა სრულყოფილი ამუშავება დიდად შეუწყობს ხელს მოსწავლისა და მასწავლებლის მოტივაციის ამაღლებას და გააუმჯობესებს სწავლა სწავლების შედეგებს.

რაც შეეხება შეფასების სისტემის დადებით და უარყოფით მხარეებს. არ დავიწყებ ამ მხარეების ჩამოთვლას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულია ყველა ის ძირითადი მიზანი, რომელსაც სკოლა სასწავლო პროცესში უნდა უსახავდეს თავის თავს. სკოლაში გამოყენებულია ორი ტიპის შეფასება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, განმავითარებელი შეფასება კი ხელს უწყობს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. მთავარია, სკოლამ და თითოეულმა მასწავლებელმა ეფექტურად გამოიყენოს ეს სისტემა და მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კონკრეტული მოსწავლის კონკრეტული უნარის განსავითარებლად იყოს მიმართული.

სწავლა სწავლების პროცესის წარმატებას ბევრად განაპირობებს წარმატებული და მოტივირებული მასწავლებელი. წინა წლებში განხორციელებული რეფორმების გამო ბევრი მასწავლებლისაგან გაიგებდი, რომ ამდენი ბიუროკრატიული პროცედურის გამო, მასწავლებელს მოსწავლე ,,ეკარგებოდა".

დღეს იმედისმომცემია განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის სქემის განახლებული ვარიანტი. ვფიქრობ, რომ რეფორმის განხორციელების განმავლობაში მასწავლებელი დაკავდება კარგი გაკვეთილის დაგეგმვა-მომზადების პროცესით და არა საბუთომანიით.



რუსუდან გონაშვილი, **ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენის მენტორი მასწავლებელი** – სასკოლო განათლებაში მხოლოდ ბოლო წლებში არ დაგროვილა პრობლემები. ეს პრობლემები ათწლეულების შედეგია. მართალია, დაიწყო სასკოლო რეფორმის გატარება, შეიცვალა წიგნები, გადაიხედა პროგრამები, დაინერგა ახალი მეთოდები, ტარდება მასწავლებლების გადასამზადებელი უამრავი ტრენინგი, კონფერენცია, სემინარები, მაგრამ მაინც არასასურველი შედეგი გვაქვს, რასაც უამრავი კვლევაც ადასტურებს. ასეთი შედეგის გამომწვევი მიზეზი კი უამრავია.

პირველი და უმთავრესი, ჩემი აზრით, ისაა, რომ არ არსებობს დიფერენცირებული პოლიტიკა სკოლების მიმართ. საქართველოში 2000-ზე მეტი სკოლაა. სკოლებს განსხვავებული გამოწვევები და საჭიროებები აქვთ, იქნება ეს სასწავლო პროცესის მართვა, პედაგოგების კვალიფიკაცია, სასწავლო რესურსები, ინფრასტრუქტურა თუ სხვა, ეს ფაქტორები კი მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზეც განსხვავებულ გავლენას ახდენს.

განათლების არსებული სისტემა სკოლებს ძირითადად უნიფიცირებულ მიდგომას სთავაზობს - საერთო სქემა ყველა სკოლისთვის. მაშინ, როდესაც მათი განსხვავებული საჭიროებები, დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას მოითხოვს. მაგალითად, არ შეიძლება, ერთნაირი მოთხოვნების წაყენება ქალაქის პრესტიჟული სკოლისა და სოფლის სკოლისთვის, რადგან ბაზა, ინფრასტრუქტურა, სასწავლო გარემო, რესურსები, შესაძლებლობები სრულიად განსახვავებული აქვთ ამ სკოლებს, სტანდარტი და მისაღწევი შედეგები კი ერთნაირი. სკოლას, რომელსაც არც ლაბორატორია აქვს, არც ინტერნეტი, არც კომპიუტერი, არ შეიძლება სთხოვდე თანამედროვე მიდგომებს სწავლებაში. ჯერ უნდა მოგვარდეს ეს ყველაფერი სახელმწიფოს მიერ და შემდეგ ისე დადგინდეს ერთიანი საერთო სქემა ყველა სკოლისთვის. მართვის ასეთი საერთო სქემა სკოლებს ნაკლებად აძლევს საშუალებას კონკრეტულ საჭიროებებზე ფოკუსირდნენ, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები გამოწვევების შესაბამისად და დამოუკიდებლად განვითარდნენ. ესაა, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც თავისთავად აჩენს სხვა უამრავ სირთულეს.

მეორე უმთავრეს პრობლემად მიმაჩნია ის, რომ ელვისებური სისწრაფით იცვლება ყველაფერი განათლების სიტემაში. ასეთი სწრაფი ცვლილებები კი დადებითად ვერაფრით აისახება ვერც სწავლების შედეგებზე და ვერც მასწავლებლების პროფესიულ ზრდაზე. ცვლილებები რომ შეგაქვს სადღაც, შედეგსაც უნდა დაელოდო და ნახო, რა გამოსწორდა, რა გაუარესდა, რაა შესაცვლელი, რა – დასატოვებელი, ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებიდან არცერთი მისულა ბოლომდე, შესაბამისად, ვერც მის შედეგიანობასა და მიზნობრიობაზე ვისაუბრებთ. ძირითადი პრობლემაა ასევე, მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

რაც შეეხება შეფასებას, იგი სწავლების თანმდევი პროცესია და განიხილება, როგორც სწავლების პერიოდში მოსწავლის მიღწევისა და წინსვლის დადგენის ხერხი. სკოლებში უპირატესობა ენიჭება ყოველდღიურ განმსაზღვრელს — ნიშნით, ქულებით შეფასებას, რომლითაც ჩვენს რეალობაში ცოდნის მხოლოდ და მხოლოდ დეკლარატიულ დონეზე შემოწმება თუ ხერხდება. სკოლებში ბავშვები ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ თვითშეფასების კითხვარებს, რომელთა მართებული გამოყენებით არაერთ სასარგებლო შედეგზე გასვლაა შესაძლებელი; მასწავლებლები იძულებულნი არიან, კანონით განსაზღვრულ მოსწავლეთა შეფასების სტანდარტს დაემორჩილონ, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ახდენს მოსწავლეთა სტიმულირებას, უფრო მეტიც, აქრობს მოსწავლეთა მოტივაციას, რაც საერთო შედეგებზე ნეგატიურად აისახება. ამჟამად დაწყებით საფეხურზე ქულები არ იწერება, მაგრამ მეხუთე კლასში მოსწავლეები და მათი მშობლები მაინც ითხოვენ გამსაზღვრელი ქულის დაწერას დღიურში, ეს მათთვის ხარისხის ერთგვარი საზომია და კიდევ კარგახანს დარჩება, ალბათ. რა თქმა უნდა, მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაცვლელია, შესაქმნელია მოსწავლეთა შეფასების ალტერნატიული მიდგომები, რათა მისი საშუალებით რეალურად დადგინდეს მოსწავლეთა პროგრესი, მაგრამ ამისთვის საჭიროა მშობელთა აზროვნების შეცვლაც და მასწავლებელთა გადამზადებაც. მასწავლებლებს უნდა მიეწოდოთ რუბრიკები და ნიმუშები, რომ გზამკვლევად გამოიყენონ, შეიმუშაონ და დანერგონ კარგად მოფიქრებული მოსწავლეთა შეფასების პროგრამა, რომელიც იყენებს შეფასების ხერხებს განმავითარებელი, დიაგნოსტიკური და განმსაზღვრელი მიზნებისთვის.

რაც შეეხება კითხვას, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ პროფესიულ ზრდაზე, განსაკუთრებით საინტერესო კითხვაა ეს ჩემთვის, ჩემი კვლევის საკითხია, რომელიც მენტორის სტატუსის მისაღებად განვახორციელე ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში და მისი სახელია: „სკოლებში პედაგოგთა თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების, თვითგანვითარებისა და თვითრეგულაციის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორები". ბევრი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა კვლევისას. საზოგადოება მუდმივად ახსენებს პედაგოგს პროფესიული განვითარების აუცილებლობის შესახებ, პროფესიულ-პედაგოგიური მომზადება, თვითრეგულაციისა და თვითგანვითარების მოტივების განსაზღვრა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიიჩნევა განათლების სისტემაში. როცა საუბარია მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იგულისხმება ამ პროცესების გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, მათი თანმიმდევრული განხორციელება. იმედი მაქვს, თქვენი გაზეთის საშუალებითაც შევძლებ კვლევის შედეგების გაცნობას დაინტერესებული ადამიანებისათვის, მანამდე კი მოკლედ გეტყვით, რომ პირველი და მარტივი გზა პედაგოგთა მოტივაციისა და პროფესიული უნარების ასამაღლებლად არ არსებობს, მარტივ რეცეპტს ვერავინ შეიმუშავებს, რადგან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული მასწავლებლის მოტივაციაცა და პროფესიული ზრდის სურვილიც. ღირსეულ-დამსახურებულ-შესაბამის ანაზღაურებასა და დაფასებასთან ერთად უმთავრესია:

1) ამოსავალი მდგომარეობის განსაზღვრა, ანუ მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პიროვნული და საქმიანი თვისებების არსებული დონის დადგენა;

2) იმ თეორიული საფუძვლების დამუშავება, რომლებიც მასწავლებელს პროფესიული განვითარებისა და წინსვლის საშუალებას მისცემს;

3) საკუთარი საქმიანობის რეფლექსია, ამ საქმიანობის შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის.



რუსუდან ნადირაშვილი, ***ინგლისური ენის მასწავლებელი*** – სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველო ყველაზე ცუდი განათლების სისტემის მქონე ქვეყანათა რიცხვში დასახელდა. განათლების სისტემაში მართლაც არსებობს ხარვეზები, ეს უცხო არც ჩემთვისაა, მაგრამ ასეთ შეფასებას არ ველოდი,თუმცა, ჩვენ ჩვენი სინამდვილის გათვალისწინება მოგვიწევს. სკოლის შინაარსი და გარემო მოსწავლისა და მასწავლებლისთვის სასურველი უნდა იყოს. მშობელს უნდა სჯეროდეს, რომ მისი შვილი უსაფრთხო გარემოშია. ასეთი გარემოს შესაქმნელად კი აუცილებელია მშობლის, მოსწავლისა და სკოლის ურთიერთანამშრომლობა. მშობელს უნდა სჯეროდეს, რომ მის შვილს სკოლაში კვალიფიციური და სწორად შერჩეული პედაგოგი დახვდება, სახელმწიფო სისტემატურად უნდა ზრუნავდეს პედაგოგების გადამზადებაზე. სიახლეების დანერგვასთან ერთად უნდა ხდებოდეს პედაგოგების ინფორმირება, რათა მათ სისტემაში დანერგილი სიახლეები საგაკვეთილო პროცესს სწორად მოარგონ. პედაგოგი ანაზღაურებით წახალისებული უნდა იყოს, რადგან ფინანსურად გამართულმა პედაგოგმა პიროვნულ ზრდაზე იზრუნოს, მაღალი ხარისხის გაკვეთილები ჩაატაროს და მეტად ორიენტირებული იყოს პროფესიაზე. რაც შეეხება შეფასებას, მართალია მოსწავლეცა და მასწავლებელიც ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნის შეძენაზე და არა შეფასებაზე, მაგრამ შეფასებაც მნიშვნელოვანია. დღეს შეფასება მასწავლებლის ხელთ არსებული ერთადერთი ბერკეტია, რაც თითქმის აიძულებს მოსწავლეს, რომ რაღაც სიხშირით მაინც ისწავლოს. და ბოლოს, ჩემი აზრით, განათლების სისტემაში სიახლეები აუცილებლად მორგებული უნდა იყოს ქართველ მოსწავლეებზე, ქვეყნის იდენტობა უნდა იყოს განმსაზღვრელი.



სალომე ნატროშვილი, ***იურისტი, მრჩეველი*** – საკმაოდ კომპლექსური თემაა, რადგანაც აქ მოქმედებს მყისიერი ჯაჭვური რეაქცია. აი, წარმოვიდგინოთ ეკოსისტემა, რომლის რომელიმე რგოლის დარღვევა ან ამოვარდნა ძალიან ცუდ შედეგებს იწვევს. განათლებაც ასეთივე სისტემაა ზუსტად. სისტემა, რომელიც ფორმალურად სკოლამდელი აღზრდით იწყება. ჩვენთან არსებულ პრობლემებს ისტორიული საფუძველი აქვს. რა თქმა უნდა, ომებმა, უშუქობამ, სიბნელემ და პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დეფიციტმა საზოგადოების ცნობიერებაზეც იქონია გავლენა. იყო დრო, როდესაც ეგზისტენციალური, ფიზიკური შენახვისა და გადარჩენის აუცილებლობა იდგა. ამიტომ, სისტემაში შევიდა კორუფცია, რამაც არაპროფესიონალების ლეგიონები წარმოშვა ყველა, უკლებლივ ყველა სფეროში. სისტემა არ მოდერნიზებულა, მისი ნამდვილი მნიშვნელობით, გამომდინარე იქიდან, რომ ათწლეულებია დილემის წინაშეა საზოგადოება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სწავლების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს თაობა, რომელთა ნაწილსაც თავის დროზე სრულფასოვანი განათლება არ აქვს მიღებული. იმ დროინდელი წარჩინებულების უმრავლესობა „გადაკვალიფიცირდა" უფრო შემოსავლიანი სამუშაოს პოვნის მიზნით. თავად წარჩინებულებიც ძალიან ძველი მეთოდებით დაეუფლნენ პროფესიებს. მიუხედავად განათლების სამინისტროს მცდელობებისა, ტრენინგების და სხვადასხვა სწავლებების მეშვეობით შეავსოს დიდი სიცარიელე, ჩემი აზრით, საბოლოოდ, ტრენინგული სწავლება თვისებრივად იმდენად ფრაგმენტულია, რომ მას არსებითი გარდატეხის შეტანა, განსაკუთრებით, „მყარი ცოდნის" ასპექტში არ შეუძლია. ამგვარი სწავლებები მოუხდებოდა, გაალამაზებდა თავისთავად გამართულ სისტემას, არაჯანსაღს - ვერ გააჯანსაღებს. იმის თქმა, მინდა, რომ ამგვარ ჩარევებს მხოლოდ და მხოლოდ „დამხმარე", მასტიმულირებელი გავლენა აქვს, არა – გადამწყვეტი. გარდა ამისა, არსებობს ცალკე მიმართულება "განათლების ეკონომიკა", რაც ფოკუსირებული უნდა იყოს განათლებაში დიდი სახსრების მობილიზებაზე, რათა იმ პროექტებმა, რომელზეც ვსაუბრობდი ზემოთ, არა მასტიმულირებელი, არამედ გადამწყვეტი ზემოქმედება იქონიოს პროცესზე. განათლების ეკონომიკა ორიენტირებულია ხარისხზე, რაც იმას ნიშნავს, რომ განათლების პროდუქტის - პროფესიონალის ღირებულება, მათ შორის, პირდაპირ რიცხვებში გამოსახული, იზრდება. შედეგად, პროფესია ხდება გაცილებით პრესტიჟული, სასურველი, სისტემაში შედის ახალი სისხლი, რომელსაც ერთროულად აქვს იდეა და პრაგმატული ხედვა. მაგალითად, ფინეთში მასწავლებელი ყველაზე პრესტიჟული პროფესიაა. შესაძლოა, ახლა ვცდებოდე რიცხვებში, მაგრამ ერთი ვაკანტური ადგილისთვის 500-მე მსურველი იბრძვის. წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს? ჩვენი მიმდინარე მოდელი, რომელიც მუტანტია სხვადასხვა მოდელებისა, ამ ქვეყანაში 70-იან წლებში გამოიყენებოდა. იქ დაახლოებით ასეთი მეთოდია სწავლების, ბავშვი არითმეტიკას, ისტორიას და გეოგრაფიას კი არ სწავლობს, არამედ - სწავლობს მეორე მსოფლიო ომს, როგორც მოვლენას და ყველაფერს მის ფარგლებში. აი, ასეთ საინტერესო და დინამიკურ პროცესზეა საუბარი. ჩემს დროს ისტორიას იცით, როგორ ვსწავლობდით? უკონტექსტოდ. ვსწავლობდით საქართველოს ისტორიას ისე, რომ განცდა გვქონდა, თითქოს საქართველო მარტო იყო პლანეტაზე. ანუ, განკერძოებულად, უკიდურესად სეპარაციულად. შემდეგ იმავე ეპოქის მსოფლიო ისტორიას ვსწავლობდით და შეუძლებელი იყო ერთმანეთთან დაგეკავშირებინა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საქართველოსთან, იმიტომ, რომ ერთი წელი იყო გასული. ასევე იყო ნებისმიერი სხვა საგნობრივი მიმართულება. ბუნებრივია, პრობლემა იყო არა პედაგოგებში, არამედ - სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ცალკეული საგნები ერთმანეთთან ინტეგრირდა, რაც ერთი შეხედვით, ლოგიკურია, თუმცა, ამ ინტეგრაციამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა. არსებობს უამრავი საერთაშორისო სტანდარტი და მოდუსი, რომელიც წარმატებულად ხორციელდება ბევრ ქვეყანაში. საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამ პროცესების მონაწილეა. მათ შორის არის PISA სტანდარტები, ბოლონიის პროცესი.

ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, აუცილებელია პოლიტიკური ნება და რესურსების მობილიზაცია, რაც განათლების სფეროს პერსონალებს მეტ ღირებულებას შესძენს, მეტ ფასს დაადებს, რაც გაზრდის მოთხოვნას და შესაბამისად, ხარისხს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათის დარჩება, რისი შედეგიცაა განათლების ექსპორტის აუცილებლობა, ანალიზების საზღვარგარეთ გაგზავნა, საზღვარგარეთ მკურნალობა, უცხოელი ექსპერტების, ადვოკატების, სპეციალისტების მოწვევის გარდაუვალი საჭიროება. რისი შედეგიცაა უკიდურესი საფრთხეების შემცველი საცხოვრებელი პირობები, სოციალური უსამართლობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფარეხების სტილში აღდგენა და ყველა არასტიქიური უბედურება, რომელიც ყოველდღიურობად იქცა, რადგან სტიქიებთან გამკლავებას და მინიმალურ დანაკარგსაც ცოდნა სჭირდება.

**მოამზადა** ელზა ხარაშვილმა

# ლეილა მანაგაძე-თეთვაძე



ჩვენო ლეილა! ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გაუსაძლისია ჩვენი ოჯახის თითოეული წევრისთვის ამ დიდი ტკივილის მოშუშება, ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ სასოწარკვეთას, რასაც უშენობა ჰქვია. დრო გადის, ტკივილი არ ცხრება .დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც მეტად გადის იგი, უფრო გვენატრება შენი სახე, ღიმილი, გამორჩეული წეს-ჩვეულებები. განსაკუთრებით გაუსაძლისია ჩემთვის - შენი მეუღლისთვის. რაც შენს მოლოდინში ვარ, ვიხსენებ შენთან გატარებულ ათეულ წლებს, თვეებს, დღეებს და წუთებს. გვენატრები ყველას- შენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს. დიდი სიყვარული, პატივისცემა და გულისხმიერება გამოიჩინა შენმა ქალიშვილმა- თინათინმა შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს და წლისთავზეც რომ ჩამოვიდა შორეული ამერიკიდან, რათა შენთვის დაეღვარა გულწრფელი ცრემლი, მოეტანა ყვავილების თაიგული და დაენთო სანთლები. შენი იმქვეყნად წასვლიდან ერთ წელში ჩვენს ოჯახში მოხდა კიდევ ერთი სასიხარულო ფაქტი - ამქვეყანას მოევლინა შენი მეექვსე შვილთაშვილი, რომელსაც დაერქვა ჩემი, შენი მეუღლის სახელი-შალვა. ეს ნიშნავს, რომ შენი გაზრდილი შვილიშვილები პატივს მოგვაგებენ და არ ივიწყებენ ჩვენს ამაგს. სწორედ შენი დამსახურებაა, რომ შენმა შვილიშვილებმა შქმნეს სამაგალითო ოჯახები და ზრდიან კარგ მომავალ თაობას. ეს შენი გამარჯვებაა, არ გივიწყებენ ნათესავები, მეზობლები და სოფელში მაცხოვრებლები. შენ წლების განმავლობაში მუშაობდი საბჭოში, მრავალ ახალგაზრდას მიეცი ქორწინების მოწმობა, ხოლო ახალდაბადებულებს - დაბადების მოწმობა. ბევრ ოჯახს დაეხმარე ოჯახური კონფლიქტების მოგვარებაში. არ ივიწყებენ შენს მოღვაწეობას პროფსასწავლებელშიც, შენ ხომ შესანიშნავი პედაგოგი იყავი, დადებითად გიხსენებენ შენი აღზრდილები. სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურე შენს დიდ ოჯახს, როგორც ბრწყინვალე დიასახლისი და შენი სტუმართმოყვარეობით დაამახსოვრე ყველას თავი.

სანთელ-საკმეველით ვეფერებით შენს მომღიმარ სურათს და ვამბობთ: ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული სამუდამო სასუფეველში.

**მონატრებით,**
შენი დიდი ოჯახი.

ახლა, როცა უშენობის სევდიანი ერთი წელი კალენდრის უნუგეშო ფურცლებმა ჩამომარცვლა, მონატრების განსაკუთრებული გრძნობა მეუფლება.

„წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არისო“, ტყუილად კი არ უთქვამს ბრძენ კაცს. არც შენ ყოფილხარ, ჩემო ლეილა, ის ბედნიერი გამონაკლისი, რომელსაც ხონჩით მოგრთმევია ამ სოფლის სიამენი. შენ ხომ თავდაუზოგავი შრომით, დიდი სიკეთით, ერთგულებითა და კაცთმოყვარეობით მოიპოვე სააქაოში დასატოვებელი სახელი, რომელსაც ასე ესათუთებიან შენი ოჯახის წევრები და ის მეგობრები, რომლებსაც ადამიანურობის ნიშნით გაბრწყინებულმა უამრავი თბილი მოგონება დაუტოვე. მათ შორის მეც, ასე ძალიან რომ მეძვირფასება შენთან გატარებული თითოეული წუთი და საათი, ახლა მარადისობას რომ შერწყმია.

ნათელი დაადგეს შენს სულს, ჩემო ლეილა, მშვიდად განისვენე ზეციურ სუსფეველში, შენი ღირსეული შთამომავლობა აგრძელებს შენს მიერ გაკვალულ გზას.

**უახლოესი მეგობრების სახელით,**
ნანა ჭიჭინაძე

# კაზმერი კოხტაშვილი



**დაბადების 70 წლისთავს გილოცავ, ძმაო!**

1949 წლის 16 იანვარს სოფელ ცლუნკაანში, ვანია კოხტაშვილის ოჯახში დიდი სიხარული დატრიალდა: – ქალიშვილის შემდეგ დაიბადა ვაჟი. ამ დიდ სიხარულს მთელი ნათესაობა იზიარებდა და მსჯელობდა, რა სახელი დაერქმიათ ბავშვისთვის. ზოგი თემურის, ზოგი დათოს, ზოგი ჯოყოლას სთავაზობდა. ოჯახში იყო ახალგაზრდა მამიდა, რომელმაც მოწიწებით გამოხატა თავისი სურვილი ბავშვის დედასთან: მე მინდა, რომ კაზმერი დაუძახოთო და ყველა სახელი წარსულს ჩაბარდა. ასეც გადაწყდა.

კაზმერი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თბილი, კეთილი, შრომისმოყვარე, ზრდილობიანი ქცევით და ასეთი დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. სიცოცხლე კი ხანგრძლივი არ არგუნა ბედმა. არავინ იცის, სად და როდის უმუხთლებს იღბალი კაცს. მთლად ახალგაზრდა 2005 წლის 17 მარტს, ჩემთვის დილა საშინელი და ბნელი გათენდა, ვერაფერს ვხედავ, დაინგრა დიდი და-ძმური სიყვარული კაზმერი კოხტაშვილი გარდაიცვალა. ვაი ჩემს თავს! 17 მარტს 14 წელი ხდება, ძმაო, 14 წელს დაუშრეტელი ცრემლი, დარდი და ვაება მოჰყვა. სიკვდილმა ვერ წაშალა ჩემს გულში შენი სიყვარული. ვერც სიკვდილი ვერ მომერია, დღე და ღამე, განურჩევლად დროისა, სულ შენზე ვფიქრობ. ამბობენ, დრო მკურნალიაო, არა, დრო მკურნალი არ არის. დღესაც არ წყდება ჩემს გონებაში შენზე ფიქრი, შენი სიარული, შენი სახე თვალწინ მიდგას, შენი საუბარი ყურში მესმის, შენი სიყვარული დღესაც არ ნელდება ჩემს გულში და არც განელდება, სანამ თვალს არ დავხუჭავ.

დღემდე ვდარდობდი, შორს წავიდა ჩემგან ჩემი ძმა-მეთქი, მაგრამ არა, სულ ცოტა დამრჩა, ძმაო, რომ შენთან მოვიდე, ეს კი მიხარია.

14 წელში გაიზარდნენ შენი შვილები და შვილიშვილები. შენი მერაბი მალე მამა გახდება, შენი ნათიას შვილები: მარიამი მე-5 კლასელია, ნინო მესამე წელშია, დავითი კი 6 თვისაა.ყველაფერი კარგი მისცეს შენს შვილებს უფალმა. მე კი გული მწყდება, რომ შენი სიდარბაისლით ამ ყველაფერს აკლიხარ. სიხარულს მეც ვაკლივარ, არც ცოცხლებში ვითვლები, არც მკვდრებთან ვარ. არ ვიცი, რა ვუწოდო ამ ყოფნას.

მენატრები და შევთხოვ უფალს, გაგიღოს სასუფევლის კარი, სადაც დიდი ნეტარებაა.

**შენი გულმოკლული და**
მაყვალა კოხტაშვილი.
**სოფელი ოზაანი.**

# ვანო ქოქიაშვილი (ბარანაანთ ვანო)



2 წელი და 4 თვეა, რაც შენ საყვარელ ცოლ-შვილს გამოეცალე ხელიდან, ჩემო ძვირფასო სიძევ, დიდი ტკივილი დაგვიტოვე, ჩემო თბილო და საყვარელო ადამიანო.

შენი შვილები – ვანიკო და სალომე, უკვე დიდები არიან. მათ მხოლოდ მამის ალერსი და სითბო აკლიათ. შენი ძვირფასი მეუღლე, ხათუნა შენგან გულდაჩაგრული, შავ ძაძებში ჩაცმული, შენს შვილებს არაფერს აკლებს.

22 იანვარს შენი დაბადების დღე იყო. 51 წლის გახდებოდი. როგორც ყოველთვის, მოვედით შენს საფლავზე, მოგიტანეთ ლამაზი ყვავილები, აგინთეთ სანთელი, გული ვიჯერეთ ტირილით და დაგემშვიდობე. მსუმბუქი იყოს შენს გულზე ნაყარი მიწა, ნათელში იყოს შენი სული.

**შენი სიდედრი:**
ოლიკო გონაშვილი,
დათო, ეკა, ანი, ბექა ხატიაშვილები,
გიორგი, თორნიკე ელენე წიკლაურები.

დედოფლისწყაროს ყოფილი სტამბის და გაზეთ „შირაქის“ რედაქციის ძველი და ახალი თანამშრომლები იუწყებიან სტამბის ყოფილი ბუღალტრის

რუსუდან ლეკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ახლობლებს.

ვარლამი და მერაბი ფიროსმანაშვილები ოჯახებით იუწყებიან

რუსუდან ლეკაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 18 იანვარს სოფელ გამარჯვებაში.

მარინე, გურამი, ვანო მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ სვეტას მეუღლის, ნინოს და ნონას მამის, შვილიშვილებს პაპის,

ვანო (ვანჩუკა) საბიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა გორაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა და ლეილა სულაშვილების ოჯახებს დედის ანიკო სულაშვილის და ჰექტორი გორაშვილს დის, დათო და იზა მეხრიშვილებს დედის ნათელა მეხრიშვილ-ღორაშვილის გარდაცვალების გამო.

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1957-58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ჯუმბერ სულაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნიაზი და სოსო ჯანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო და ნიკა სულაშვილების ოჯახებს დედის, მარინე და მზია პაპაჩაშვილების ოჯახებს დის

ლილი (ლია) პაპაჩაშვილ-სულაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფელ ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი მამა გიორგი(ჯინაშვილი) და მრევლი იუწყება

დარეჯან მაძღარაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მიხეილ და ლია მაძღარაშვილების ოჯახებს.

## მონატრება

# ბადრი ჯიბღაშვილი



ჩემო დიდო სიხარულო და დიდო ტკივილო, 6 იანვარს 45 წლის იქნებოდი, მაგრამ მეთორმეტე წელია,შენს საფლავზე დავდივარ.

დღემდე ვერ მოვიშორე ფიქრი, თუ რატომ ხდება, რომ დედა შვილის შემდეგაც აგრძელებს სიცოცხლეს, მაგრამ, ალბათ, მართალია გამოთქმა, რომ ღმერთსაც კარგები მიჰყავს თავისთანო.

ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა მითხარი, ეკლესიაში ვიყავი, აღსარება ჩავაბარე და ვეზიარე კიდეცო. მეორე დრეს კი შენ დატოვე ეს ცხოვრება და ამაღლდი ზეცად. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. იქნებ ისიც ნიშნავს რამეს, რომ შენ მაშინ 33 წლის იყავი.

მიყვარხარ და მენატრები უზომოდ. შენზე ფიქრიც კი დიდ ტკივილს მაყენებს.

„დავდივარ აჩრდილივით სულ მარტოდ-მარტო,
ღმერთმა შენი თავი წამართვა რატომ?
მიყვარხარ, მენატრები ძლიერ და გ ნატრობ
დედა შენს მერე რომ ცოცხლობს, რატომ?“

**დედა** რუსუდანი და შენი ოჯახი.

# გელა გიგაშვილი



ჩემო გელა, ჩემო პირველო სიხარულო, ყოველთვის აღტაცებულები ველოდებოდით 8 იანვარის მოსვლას, შენი დაბადების დღეს. 7 წელია, უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. 8 იანვარს მოვედით შენს საფლავზე, გულისტკივილით და მდუღარე ცრემლებით მოგილოცეთ დაბადების 46 წლისთავი. მოუშუშებელი ტკივილით სავსეა ჩემი გული, ჩემო ვაჟკაცო. მონატრებაზე დიდი ტკივილი არაფერია, ჩემო გელა. მართალია, შენი გარდაცვალებიდან 7 წელი გავიდა, მაგრამ ამ დიდ ტკივილს და მონატრებას ვერაფერი შეავსებს. მენატრება, შვილო, შენი ღიმილი და შენი სითბო. რა ვაჟკაცური და კეთილი იყავი. ძალიან მოაკლდი ჩვენს ოჯახს, სამეგობროს, სანათესაოს, ყველას დასწყვიტე გული. უშენობა ყველას გვიჭირს. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს სულს. ჩემო დიდო ტკივილო, წახვედი და დამიტოვე ცრემლი და მონატრება რომელსაც ამდენი წლები ვებრძვი, მაგრამ ამაოდ.

ჩემს ტკივილს ვერაფერი მოაშუშებს. ახლა ჩემმა დამ მომიკლა გული. შენმა საყვარელმა ნათელა დეიდამ დამტოვა და შენთან წამოვიდა. გამიახლა ტკივილები. გული მწყდება, რომ ვერცერთს ვერაფერი გიშველეთ. და მოუკვდეს იმასაც,მანდ იქ მოგილოცა დაბადების დღე. აბა შენ იცი, შენს ტკბილ, კეთილ დეიდას ყურადღება არ მოაკლო. მონატრებით გინთებთ სანთელს და მოვუყვები გზას, რომელიც საბოლოოდ შეგვახვედრებს. შენს დაბადების დღეს მოვედით შენს საფლავზე, მოვეფერე და ვაკოცე ქვაში გაცოცხლებულ შენს სუათს, ცრემლით დაგისველე შენს გულზე დაყრილი მიწა.

გული დამძიმდა ამდენი ფიქრით,
ერთი სიცოცხლე აბა, რად გიღირს?!
ლოცვით გიხსენებ, უშენოდ მიჭირს,
ასე ლოცვებში ისევ შენ გიცდი.

**შენი მონატრებული დედა**, ციცო მესტიაშვილი.

# ბელურა, ნუგზარ და ნანა მაჩაბლიშვილები

ბუნებაში ყველაფერი წარმავალია, უკვდავი არაფერია, ეს ხომ ღმერთისგანაა დაწესებული, ყველა ადამიანისთვის განსაზღვრულია, როდის და რა გარემოებაში მოგვიწევს წასვლა ამქვეყნიური ცხოვრებიდან იმქვეყნიურ სამყაროში. მინდა, ყველა შვილმკვდარ დედას ვუთანაგრძნო შვილების სიკვდილით მიყენებული ტკივილი და მათ გვერდში ვიყო ყოველთვის. არავის გამოაცდევინოს შვილის სიკვდილი მთელ მსოფლიოში. მშობლები თავს ბედნიერად გრძნობენ მაშინ, როდესაც შვილებთან ერთად ხარობენ. მე ეს ბედნიერება დიდხანს არ შემრჩა და, მაქვს მწარე სიბერე, ისეთი ტკივილი მომაყენა გულის სიღრმეში ჩემმა ლამაზმა ქმარ -შვილმა, რომელიც არასოდეს არ განიკურნება. როდესაც მარტო ვზივარ და ვფიქრობ, ნეტავ რა დავაშავე ისეთი, რომ ღმერთმა ასეთი სასჯელი გამომიტანა მეთქი. მენატრებით, ჩემო შვილებო - ნუგზარი, ნანული და ჩემო მეუღლე ბელურ. ვნატრობ, რომ მეც თქვენთან მალე წამოვიდე. შორიდან გეფერებით და გეალერსებით. თქვენს სურათებს ვკოცნი და ვიხსენებ იმ დროს, როდესაც ერთად ვიყავით და ყველა ერთად ვზეიმობდით. აქედან გამომდინარე, ახლა ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. ნათელში იყოს თქვენი კეთილი სულები. ღმერთი კი ფარავდეს თქვენს შვილებს, ძმისშვილებს და დისშვილებს.

ციცინო გონაშვილ-მაჩაბლიშვილი

## ხსოვნა

# თინათინ მოსულიშვილი



ჩვენო ძვირფასო დედა, შენი წასვლით მძიმე ტკივილი დაგვიტოვე. 14 იანვარს შეგისრულდებოდა 92 წელი, მაგრამ შენმა დაკარგვამ დიდი ტრამვა მოგვაყენა. უზომოდ კეთილი იყავი ყველასთვის, გიყვარდა ნათესავი თუ მეზობელი, შენი საყვარელი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ამბობენ, ღმერთსაც კარგი უნდაო, ალბათ ასეა. როდესაც საყვარელ ადამიანს კარგავ, თითქოს გულიდან რაღაც გეგლიჯება. უბრალოდ, დრო ყველაფრის მკურნალია, უბრალოდ ვეჩვევით ტკივილს. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩვენო ტკბილო დედავ, ბებიავ და დიდო ბებიავ.

შენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

# დედოფლისწყაროს კიდევ 20 ქურციკი გადაეცა

***რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, აზერბაიჯანულმა მხარემ დედოფლისწყაროს ქურციკების რამდენიმე ინდივიდი კიდევ გადასცა. ამას გარდა, გასულ კვირას კიდევ 10 ქურციკი საქართველოს საზღვართან ახლოს, აზერბაიჯანის დაცულ ტერიტორიაზე გაუშვეს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ხელსაყრელი გარემო პირობების გამო ისინი ვაშლოვანის ტერიტორიაზე გადმოდიან და საზღვარს აქეთ ბინადრობენ.***

ქურციკები საქართველოში მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გადაშენდნენ. გერმანიის მთავრობის ფინანსური დახმარებით, 2014 წელს, პირველი ნაკადის გადმოყვანა განხორციელდა. ჯეირნები დედოფლისწყაროში გაუშვეს, კიდევ ერთი ეტაპი შემოვიდა 2016 წელსაც. მას შემდეგ ქურციკებმა ჩვენს ტერიტორიაზე გამრავლება შეძლეს. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ქურციკი, იგივე ჯეირანი მტაცებლისა და ბრაკონიერის მსხვერპლი გახდა.

„ბოლო ფაქტს რაც შეეხება, 10 ქურციკი რეალურად აზერბაიჯანის ნაწილში არის გაშვებული, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ ტრანსსასაზღვრო პროექტია, ორგანიზაცია ორივე მხარის სიახლეს ახმოვანებს ხოლმე. ჩვენს ტერიტორიაზე ბოლო ჯგუფის გამოშვება ოქტომბერში მოხდა 2 ნაწილად, ჯამში 20 ქურციკი გადმოგვეცა.

2016 წლის შემდეგ აზერბაიჯანიდან კვლავ შემოყვანის ეს პირველი შემთხვევა იყო, რაც აქ არსებული პოპულაციის წარმატებული ზრდის მაჩვენებლით იყო განპირობებული. აზერბაიჯანელებს თავიანთ საზღვართან შემოჰყავთ ხოლმე და ჩვენი მიმართულებით უშვებენ. სასაზღვრო ტერიტორიაზე გაშვებულები მაინც ჩვენთან მოდიან ძირითადად. ხოლო ეს 10 ქურციკი თავიანთ დაცულ ტერიტორიაზე გაუშვეს მდინარის გადაღმა საიდანაც ჩვენს პოპულაციას ვერ შეუერთდება. აზერბაიჯანშიც ქურციკის აღდგენის ანალოგიურ პროექტს ახორციელებენ," – ამბობს WWF-ის წარმომადგენელი დედოფლისწყაროში, ქურციკების მონიტორნგის სპეციალისტი ვაჟა ყორიაშვილი.

„გერმანული ფონდები ორ ქვეყანაში აფინანსებენ ამ პოპულაციის აღდგენის პროექტს. რაკი საერთაშორისო პროგრამაა, თავის მხრივ აზერბაიჯანს აქვს ცალკეული ვალდებულებებიც. სწორედ ამ ვალდებულებების ნაწილია ისიც, რომ ქურციკები ჩვენს მხარეს გამოუშვან. პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა პოპულაციის მომრავლება. თვითმფრინავით მგზავრობა ვერ აიტანეს, გარემო პირობებთან შეგუება გაუჭირდათ, თუმცა, საბედნიეროდ შემდეგი მცდელობები დღემდე წარმატებით მიმდინარეობს და რამდენჯერმე გვქონდა მატებაც," – აღნიშნავს ვაშლოვანის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ნინო სეთურიძე.



დედოფლისწყაროში ქურციკის აღდგენის მცდელობა გაცილებით ადრე, დაახლოებით 2008 წელსაც იყო, თუმცა. მაშინ ისინი უსაფრთხოების მიზნით ვოლიერებში მოათავსეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ მეთოდმა არ გაამართლა და მათ გამრავლება ვერ მოახერხეს. 2014 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც მიდგომა შეიცვალა და ჯეირნები ველურ ბუნებაში გაუშვეს, მათი აღდგენის პროექტი გაცილებით წარმატებულად მიმდინარეობს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ცენტრალური სტადიონის აღდგენა იწყება

***დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის ძირეული რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება და 2019 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. როგორც დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის უფროსმა, აკაკი ნატროშვილმა განაცხადა, სტადიონი ევროკავშირის გრანტით 60 000 ევროთი დაფინანსდა და შესაბამისი ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. მისი თქმით, პროექტს თანადაფინანსებას გაუწევს დედოფლისწყაროს მერიაც. 21 იანვარს დედოფლისწყაროს საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა თანხის გამოყოფას მხარი დაუჭირეს.***



მოეწყობა ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, მაყურებლის ტრიბუნები. შენობა კი თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და საშხაპეებით აღიჭურვება.

„ნოემბრის თვეში უკვე გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტის განხორციელებას ვიწყებთ. მცირე ტექნიკური დეტალები დარჩა და უახლოეს დღეებში უკვე გამოცხადდება ტენდერი, რომელმაც სამუშაოების მწარმოებელი კომპანია უნდა გამოავლინოს. შემდეგ კი კომპანია დაიწყებს რეაბილიტაციის პროცესს. ვადები განსაზღვრულია და ცნობილია, რომ სტადიონი წელსვე უნდა დასრულდეს და ჩაბარდეს. თუმცა, კომპანია მოედანს სამი წლის განმავლობაში გაუწევს მეთვალყურეობას და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა-აღდგენას მოახდენს. ძირითადი საფეხბურთო მოედნის გარდა, აქვე მოეწყობა კალათბურთის მოედანი, იქნება ტრენაჟორების კუთხეც. სამინისტროს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, მოინახულეს ადგილი და მოგვცეს რეკომენდაცია, რომ აუცილებელია შშმ პირებზე მორგებული გარემო შეიქმნას და მათთვის ცალკე საშხაპე მოვაწყოთ. თავდაპირველად ეს პროექტში გათვალისწინებული არ იყო, ამდენად, ახლა გავითვალისწინეთ ეს მოთხოვნა და პროექტის ჩასწორება უკვე დასრულდა, ამჟერად მერიასთან გავდივართ სამუშაო პროცესს, რომ გამოვაცხადოთ ტენდერი. მოგეხსენებათ 26 500 ლარის თანადაფინანსებას დედოფლისწყარო ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახდენს. საუკეთესო შენობა იქნება, ექიმის და მსაჯების ოთახებიც მოეწყობა, " – აცხადებს აკაკი ნატროშვილი.

ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს ეპერი" აფინანსებს. თუმცა, ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველყოფის ვალდებულება მუნიციპალიტეტს ეკისრება. სწორედ ამიტომ, დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში აცხადებენ, რომ დედოფლისწყაროში შეგროვდა 2000 ხელმოწერა, რომლითაც მოქალაქეები ადასტურებენ მზაობას, რომ მოხალისეობრივად, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე იმუშაონ და თავისი წვლილი შეიტანონ სტადიონის აღდგენის საქმეში.

სპორტის ცენტრში განმარტავენ, რომ დედოფლისწყაროში ფეხბურთის განვითარებას მოედნის არარსებობა აფერხებდა. მას შემდეგ კი, რაც მუნიციპალიტეტს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი ახალი ცენტრალური მოედანი ექნება, მერია იზრუნებს, ადგილობრივი ფეხბურთის გუნდის გაძლიერებაზე.

დედოფლისწყაროში ცენტრალური სტადიონი 1959 წელს აშენდა, ათეულობით წელია, მისი ინფრასტრუქტურა გაჩანაგებულია. ის სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს ისე მასპინძლობს, რომ არ გააჩნია მაყურებლისთვის განკუთვნილი სკამები, სპორტსმენებისთვის კი გასახდელები და ოთახები.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

### ინგა შიოლაშვილს!

ჩენო ინგა, არავინ დაიჯერებს, რომ ბებია ხარ და, მით უმეტეს, უკვე სამგზის. გილოცავთ პატარა მარიამის დაბადებას. გაიზარდოს ჯანმრთელი და ბედნიერი, ღვთისმშობლის მოსახელეს არ მოჰკლებოდეს მისი მფარველობა. და-ძმასთან – **დემეტრესა** და **ანანოსთან** ერთად ერის სასახელო გოგო გაიზარდოს.

მის მშობლებს - **ქეთის და დათოს** ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ოჯახის პატრონებს, ჰქონდეთ მხნეობა, ჯანმრთელობა და წარმატებები. გვიხარია, რომ შენი დედისერთა ქალიშვილი უკვე სამი შვილის დედაა. ბარაქა მის ქალობას.

გილოცავთ და გეფერებით ყველას.

შენი „შირაქელები".

### გულნაზ ბეროშვილს!

ჩემო საყვარელო გულნაზ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას შენს შვილსა და შვილიშვილთან ერთად.

**სიყვარულით,** ლიზა აბიათარი.


## ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში, ფიროსმანის ქ. -2, სათნოების სახლის მე-2 სართულზე ფუნქციონირება დაიწყო **ღვინის ლაბორატორიამ,** სადაც თანამედროვე ტექნოლოგიით ღვინოს უტარდება ქიმიური და ორგანოლეპტიკური შემოწმება. დეტალური ინფორმაციისათის დარეკეთ:
☎ 593 75 69 30
მაია ბაიდოშვილი.


## ვიყიდი წიგნს!

„რუსული ენის თვითმასწავლებელი" (ავტ. გოლეთიანი) შეიხედეთ თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში და თუ აღმოაჩენთ აღნიშნულ წიგნს, რომელიც თქვენ ყოველდღიურად არ გჭირდებათ და შეგიძლიათ შეელიოთ, დამიკავშირდით:
☎ 591 977 326 ან 591 092 465; წინასწარ გიხდით მადლობას სიკეთისთვის.
ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

## „წარმატებული ახალი ბრენდის" ნომინაციაში დაჯილდოვდა კომპანია „შირაქი"

26 დეკემბერს თბილისის „ბილთ-მორის" საგამოფენო დარბაზში უკვე მეთექვსმეტედ გაიმართა ქართული ბრენდის დღე. დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციაში. მათ შორის „წარმატებული ახალი ბრენდის" ნომინაციაში დაჯილდოვდა **კომპანია „შირაქი",** რომლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს **ფერმერი ნიკოლოზ ბენიაიძე.** მათ მიერ წარმოებული რძის პროდუქტები უკვე დიდი ხანია ბრენდია. ნომინაციაში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით,პრიზებით და ორდენებით.

ნანა ჭიჭინაძე

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 28.01 | | სამშაბათი 29.01 | | ოთხშაბათი 30.01 | | ხუთშაბათი 31.01 | | პარასკევი 01.02 | | შაბათი 02.02 | | კვირა 03.02 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 7° | 0° | 4° | 3° | 5° | 0° | 2° | 1° | 4° | 2° | 3° | 2° | 2° | 1° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.